გაზეთი ბოლოვანი, „ვერსია“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№77 (972) 18 – 20 ივლისი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ივნისის და 6 თვის დანაშაულის სტატისტიკა

გვ. 2

ახალი დეტალები

რა გაუმხილა „ვერსიას“ მაია ნიკოლეიშვილმა

„მნიშვნელოვანი რამ შევნიშნე – ცხვირიდან წამოსული სისხლის მიმართულება ქვემოდან ზემოთ იყო... გაჩნდა კითხვა, გარდაცვალების დროს იჯდა თავგადაწეული თუ შემდეგ დაასვენეს...“

გვ. 4–5

„შესაძლოა, ვიღაცას ხელს ვუშლი ჩემი არსებობით“...

ვის აწყობდა ეროსი კინწარაშვილის მოშორება

ხატია დეკანოიძეს პროკურატურაში დაიბარებენ?

დარღვევები სასკოლო ინვენტარის შესყიდვაში და უკანონოდ ჩაფარებული ტენდერები განათლების სისტემაში

გვ. 3

განათლების ექსმინისტრი ბრალდებებს პასუხობს

თიბისი ბანკის კლიენტი მეწარმეები საკონსულტაციო დახმარებას მიიღებენ

გვ. 3

თიბისი ბანკი
TBC BANK
თქვენ გვერდით

თიბისი ბანკის „გალერეაში“ ონლაინოლიმპიადის გამარჯვებულები გამოავლინეს

გვ. 7

„ვისოლმა“ „ეკოსგან“ საწვავის მიწოდებასა და სავაჭრო ნიშნის გამოყენებაზე ექსკლუზიური უფლება მოიპოვა

გვ. 7

ქართველი „უგონშჩიკების“ თავგადასავალი ცხინვალში

როგორ ქრებოდა საქართველოდან ძვირფასი მანქანები და როგორ გამოჩნდა თბილისში პირველი „პორშეს“ ჯიპი

გვ. 8

პატიმრის დღიური

ექსპერტ ხათუნა ლაგაზიძის რჩევები ხელისუფლებასა და ხალხს

„თუ საზოგადოება ხელისუფლებისგან მონსტრს შექმნის, ცოცხები მოენატრება“

ეროსუდან შელია
557-100-768

ექსპერტმა ხათუნა ლაგაზიძემ ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალების თემაზე საუბარი არ ისურვა — ზოგიერთი პოლიტიკოსის მსგავსად, გარდაცვლილი ადამიანით სპეკულირებას ვერ დავიწყებო და „ვერსიასთან“ ინტერვიუში მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შეფასებით შემოიფარგლა. მისი განცხადებით, „ქართული ოცნება“ ვირტუალური სამყაროდან უნდა გამოვიდეს, საზოგადოებამ კი შურისძიების მოჯადოებული წრე გაარღვიოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, აცხადებს, რომ, თუ საზოგადოება ხელისუფლებისგან ახალ მონსტრს შექმნის, ცოცხები სანატრელი გაუხდება.

— ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ხელისუფლების წარმატების კრიტერიუმი ნაციონალური მოძრაობის დამარცხებით არ უნდა განისაზღვროს. ამ მხრივ გაცილებით მნიშვნელოვანი სხვა ფაქტორებია. ნაციონალური მოძრაობა 2012 წლის პირველ ოქტომბერს დამარცხდა და მას შემდეგ, მისგან მტრის ხატის შექმნის სქემა ამუშავდა, რაც ხელისუფლების ირგვლივ მხარდამჭერთა მობილიზებას ემსახურებოდა.

— ხელისუფლებამ შექმნა ნაციონალური მოძრაობისგან მტრის ხატი თუ თავად ნაციონალები ცდილობენ მმართველ გუნდთან ძალის დემონსტრირებას?

— ლოგიკურად, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ნაციონალური მოძრაობა საფრთხეს არ წარმოადგენდა, თუ მისგან ამ საფრთხეს ხელისუფლება თავად არ შექმნიდა. ეს ორმხრივი პროცესია — ნაციონალები რეინკარნაციას მაქსიმალურად ცდილობდნენ, „ქართულმა ოცნებამ“ კი ამ პროცესს ხელი შეუწყო — როცა მმართველი გუნდი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის გადაჭრას ვერ ახერხებს და არც სტრატეგიული ხედვები აქვს, არჩევნების წინ ამომრჩევლის ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ მობილიზება მაინც უნდა შეძლოს. შესაბამისად, დიახაც, კოალიციას ასეთი ტიპის ოპოზიცია აწყობდა. მეტიც, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში „ქართული ოცნების“ წარმატების გარანტია ნაციონალური მოძრაობის არსებობა იყო. ამ პროცესს ხელი დანარჩენი ოპოზიციური პარტიების სისუსტემაც შეუწყო. ისიც ფაქტია, კოალიციამ რეიტინგი მნიშვნელოვნად დაკარგა, რადგან საზოგადოებას ვერაფერი შესთავაზა.

— ხელისუფლების ლიდერები ამტკიცებენ, რომ დაპირებები გადაჭარბებით სრულდება...

— „ქართულმა ოცნებამ“ ვირტუალური რეალობა შეიქმნა, რომელსაც მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებასთან საერთო არაფერი აქვს. საზოგადოებას ამ ვირტუალური რეალობის რომ არ სჯერა, არჩევნების პირველმა ტურმაც დაადასტურა.

— პირველი ტურის შედეგები ამომრჩევლის დაბალ აქტივობას დაბრალდა. აქტიურობის შემთხვევაშიც მივიდოდით მეორე ტურამდე?

— ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე აქტივობა მართლაც ყოველთვის დაბალია, მაგრამ ახლა საუბარია საარჩევნო უბნებზე გამოცხადებული ადამიანების პოზიციაზე. ეს მხარდაჭერა ხელისუფლებაში წელინწადნახევრის წინ მოსული პოლიტიკური ძალისთვის საკმაოდ დაბალი იყო და ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ისაა, რომ კოალიცია თვითკმარი გახდა — გუნდში განახლების პროცესი არ დაწყებულა და ავტორიტეტულ სახეებს არავინ ეძებს. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზეც, საკრებულოში პიროვნებები მხოლოდ მორჩილების კრიტერიუმით შეარჩიეს. ეს მკაფიო მესიჯი იყო ყველასთვის — სანამ ჩვენ ვართ ხელისუფლებაში, სხვისთვის გზა ჩაკეტილიაო.

— არჩევნების დასრულების შემდეგ კოალიციაში „წმენდის“ დაწყების მოლოდინი გაჩნდა. აწყობს ეს პროცესი „ოცნებას“? „წმენდა“ კოალიციის ურეინტიგო პარტიებად დაშლის საფრთხეს არ ზრდის?

— თუ კოალიციას თვითგადარჩენის ინსტინქტი აქვს და პირველი ტურის შედეგებზე დაფიქრდება, ეს პროცესი დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს. თუ მეორე ტურის შედეგებით დატკბება, მას და საზოგადოებასაც საქმე თანაბრად ცუდად წაუვა — პროცესები მზარდ უკმაყოფილებამდე მივა!

— „ცხელი შემოდგომა“ უკვე დაანონსებულია — ბუტა რობაქიძის მამა სამართლიანობის აღდგენის მოწოდებით, ქუჩაში 100 ათასი ადამიანის გამოყვანას აპირებს, ნინო ბურჯანაძეც მასშტაბური გამოსვლებით იმუქრება და ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს ითხოვს, ნაციონალური მოძრაობაც იმავე სამზადისშია. რა პროცესი იკვრება შემოდგომისთვის?

— რომელ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზეა საუბარი ან რომელ პარტიას აქვს რესურსი, დღეს პარლამენტში მოხვდეს? ეს თითიდან გამოწოვილი საბაბია და თანაც, ამ მოთხოვნით ქუჩაში არავინ გამოვა! ეს ყველაფერი რუსეთიდან მართულ პროცესს ჰგავს. რაც შეეხება სამართლიანობის აღდგენას, ნაციონალური მოძრაობის ლიდერი დაპატიმრებულია და ხომ არ შეიძლება, ვისაც მათი ოფისის გვერდით ჩაუვლია, ყველა დაიჭირონ? არ შეიძლება, საზოგადოება ერთსა და იმავე წრეზე დადიოდეს და ჭკუას მაინც ვერ სწავლობდეს. როცა ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში მოვიდა და შევარდნაძისდროინდელი მაღალჩინოსნების მასობრივი დაკავება დაიწყო, ხალხი ტაშს უკრავდა. შესაძლოა, ეს ადამიანები დამნაშავეები მართლაც იყვნენ, მაგრამ თავად დაკავება ყოველგვარი კანონდარღვევით ხდებოდა. საზოგადოების ყიჟინამ მაშინდელი ხელისუფლება კანონდარღვევებში წაახალისა. ზოგადად, თუ მმართველი ძალა კანონს ერთხელ დაარღვევს, მეათედ და მეასედ იგივეს გააკეთებს. შესაძლოა, დღესაც ეს პროცესი დაიწყოს.

— რატომ ფიქრობთ, რომ „ქართული ოცნება“ ნაციონალური მოძრაობის გზას დაადგება?

— ჯერჯერობით, ამის ნიშნები არ არის, რადგან სამართლიანობის აღდგენის კუთხით კანონდარღვევაში ხელისუფლებას ნამდვილად ვერ დაადანაშაულებ. ამ მიმართულებით მმართველი გუნდი შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერს აკეთებს — სადაც არსებობს ფაქტობრივი მტკიცებულებები კონკრეტულ პირს ბრალს უყენებს, თუ მტკიცებულებები არ არსებობს — სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემისგან თავს იკავებს. მხოლოდ იმის გამო, რომ საზოგადოებაში ასეთი წარმოდგენა არსებობს, ადამიანებს ციხეში ვერ ჩასვამენ. საზოგადოებრივი წარმოდგენის მიხედვით, ადამიანებს ლინჩის წესით სჯიდნენ და მაშინ პირველყოფილ წყობილებაში დავბრუნდეთ. ეს თავიდან ბოლომდე ქართული საზოგადოების პრობლემაა — ოღონდ სისხლი ნახონ და შურისძიების აქტი აღასრულონ, კანონდარღვევა და სამართლის ფეხქვეშ გათელვა არ ანაღვლებთ. მთავარია, ხელისუფლება ამ საცდურს და ყიჟინას არ აყვეს, მაგრამ თუ კოალიცია მაინც ამ წრეზე წავა, საზოგადოება შესაბამის შედეგს მიიღებს!

— მეორე ტურამდე გიგი უგულავას დაკავება და პოლიტიკურად ცხელი ზაფხულის დაანონსება ყიჟინაზე გამოხმაურება იყო?

— როგორც ჩანს, ხელისუფლებამ ჩათვალა, ეს საზოგადოების დაკვეთაა და ასეა საჭირო. ნაციონალური მოძრაობის დროს სხვები თუ დაზარალდნენ, მათ შორის ერთ-ერთი ჩემი ოჯახიც იყო თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ ხელისუფლებისგან იგივე მონსტრის შექმნის სურვილი მაქვს, როგორიც ნაციონალური მოძრაობა იყო. ეს საზოგადოებამაც უნდა დაინახოს და თუ ვერ დაინახავს, ისეთ დღეში ჩავარდება, ცოცხები მოენატრება. მონსტრ ხელისუფლებას ყოველთვის საზოგადოება ქმნის, როგორც ეს ნაციონალური მოძრაობის შემთხვევაში მოხდა. არ შეიძლება ეს ტენდენციად იქცეს. ვიმეორებ, ცოცხი საზოგადოებისთვის არავის მოულერებია, თავად მოიღერა და გამოიწერა მაშინ, როცა ნაციონალური მოძრაობის კანონდარღვევას ყიჟინით ხვდებოდა. იმედი მაქვს, ახლაც იგივე წრეზე არ ნავალთ.

ვერსიანიუსი

ივნისის და 6 თვის დანაშაულის სტატისტიკა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ივნისის და 6 თვის დანაშაულის სტატისტიკა გამოაქვეყნა.

2014 წლის იანვარ-ივნისში შსს-ს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით, რეგისტრირებულია 12 881 დანაშაული, აქედან 7667 დანაშაული გაიხსნა. დანაშაულის გახსნის კოეფიციენტია 59,52%. წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლებაა —16,91%.

2014 წლის ივნისში შსს-ს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით რეგისტრირებულია 2002 დანაშაული, აქედან 977 დანაშაული გაიხსნა. დანაშაულის გახსნის კოეფიციენტია 48,8%. ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლებაა -25,1%.

„ვერსიანიუსი“

ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირებას ევროკომისარი შტეფან ფულე და სხვა სტუმრები დაესწრებიან

პარლამენტის ბიუროს სხდომაზე 18 ივლისს დოკუმენტის რატიფიცირებისთვის მოსაწვევ რიგგარეშე სესიაზე იმსჯელეს.

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, საქართველოს პარლამენტის მიერ დოკუმენტის რატიფიცირებას შტეფან ფულეს გარდა, ლატვიისა და ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრებიც დაესწრებიან. სტუმრები დეპუტატებს სიტყვითაც მიმართავენ. ქუთაისში ჩასვლას გეგმავს საქართველოს პრემიერ-მინისტრიც. დაგეგმილია ასევე ირაკლი ღარიბაშვილის სიტყვით გამოსვლა.

დავით უსუფაშვილის განცხადებით, 18 ივლისის რიგგარეშე სხდომა რეგლამენტის მიხედვით სარატიფიკაციო დოკუმენტის განხილვით 12:00 საათზე დაიწყება. პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, ევროკომისარი შტეფან ფულე, ლატვიისა და ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრები დეპუტატებს სიტყვით კენჭისყრამდე მიმართავენ. 18 ივლისის რიგგარეშე სესია მხოლოდ ასოცირების შეთანხმების რატიფიცირებას დაეთმობა და დღის წესრიგში მხოლოდ ეს საკითხი შევა.

„პირველი“

ობამამ რუსეთის წინააღმდეგ ახალი სანქციები დაამტკიცა

აშშ-ს პრეზიდენტის განცხადებით, შეიარაღების სფეროში რიგი რუსული კომპანიების აქტივები გაიყინება, ასევე დაიბლოკება რამდენიმე მნიშვნელოვანი რუსული ბანკი და ენერგეტიკული კომპანია.

აშშ-ს ფინანსთა სამინისტროს სანქციების სიაში მოხვდნენ რუსეთის პარლამენტის ქვედა პალატის ვიცე-სპიკერი სერგეი ნევეროვი, რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწე იგორ შეგოლიევი, ასევე ყირიმის საკითხებში ფედერალური მინისტრი ოლეგ საველიოვი. გარდა ამისა, სიაში აღმოჩნდნენ კორპორაცია „ალმაზ-ანტეი“ და კონცერნი „კალაშნიკოვი“, „იუმაში“, „ბაზალტი“, „ურალვაგონზავოდი“, კონცერნი „რადიოელექტრონნიე ტეხნოლოგიი“, „სოზვეზდიე“, ასევე „ნოვატეკი“, „როსნეფტი“, ВЭБ, „გაზპრომბანკი“.

„მე დავამტკიცე ახალი სანქციები რიგი რუსი კომპანიებისა და საფინანსო ინსტიტუტების წინააღმდეგ. მკაფიოდ ვიმეორებდი, რომ რუსეთს უნდა შეეწყვიტა იარაღის და ბოევიკების ნაკადი, მხარი დაეჭირა ცეცხლის შეწყვეტისთვის და საერთაშორისო მოლაპარაკებებს შეერთებოდა. ეს მკაფიოდ ვუთხარი ბატონ პუტინს, ჩვენმა ევროპელმა პარტნიორებმაც უთხრეს“, — განაცხადა ობამამ.

მისივე თქმით, ყველა ძალისხმევა მიმართულია იმისკენ, ეს პრობლემა დიპლომატიური გზით გადაწყდეს: **„თუმცა, უნდა დავინახოთ კონკრეტული ნაბიჯები და არა სიტყვები, რომ რუსეთი მონდომებულია, საზღვარზე ამ კონფლიქტს წერტილი დაუსვას. ამ დროისთვის რუსეთი სეპარატისტების მხარდაჭერას აგრძელებს“.**

„პირველი“

განათლების ექსმინისტრ ხატია დეკანოიძეს პროკურატურაში დაიბარებენ?

მაია მიშელაძე
593-51-90-12

აუდიტის სახელმწიფო სამსახურმა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2012 წლის ფინანსური აუდიტი განახორციელა. სამინისტროს მიერ 2012 წელს განხორციელებული ელექტრონული შესყიდვების ანალიზი ჩატარდა და სამინისტროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის (სსიპ) „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოს“ განხორციელებული მაღალრისკიანი ტენდერები გამოვლინდა. კერძოდ, სააგენტოს მიერ სასკოლო ინვენტარის შესყიდვის დროს სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ შესყიდვების პროცედურებში კონკურენცია იზღუდებოდა. ეს ტენდერები ერთი კონკრეტული კომპანიისთვის — შპს „ინსტა ჯორჯიასთვის“ უპირატესობის მინიჭებას ისახავდა მიზნად და სხვათა შორის, განათლებისა და მეცნიერების მაშინდელი მინისტრის, ხატია დეკანოიძის ბრძანებებიც უწყობდა ხელს. აღნიშნული დასკვნა და ელექტრონული შესყიდვების ფინანსური ანგარიში, რომელიც „ვერსიამ“ სახელმწიფო აუდიტის სამსახურიდან ექსკლუზიურად მოიპოვა, უკვე მთავარ პროკურატურაშია გადაგზავნილი. გამორიცხული არ არის, ამ მასალების გამო, მთავარ პროკურატურაში განათლების ექსმინისტრი ხატია დეკანოიძეც დაიბარონ.



დარღვევები სასკოლო ინვენტარის შესყიდვაში და უკანონოდ ჩატარებული ტენდერები განათლების სისტემაში

ლაბორატორიული, ოპტიკური და ზუსტი ხელსაწყოების შესყიდვა

შპს „ინსტა ჯორჯია“ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონულ სისტემაში პირველად 2011 წლის 10 იანვარს, „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოს“ მიერ გამოცხადებულ ტენდერში დარეგისტრირდა. ტენდერი — SPA110000329, 150 კომპლექტი სამეცნიერო ლაბორატორიის შესყიდვას ეხებოდა, რომლის სავარაუდო ღირებულება 1 070 000 ლარი იყო, ანუ ერთეული კომპლექტის ფასი 13800 ლარს შეადგენდა. ტენდერში გამარჯვებულად უკონკურენტო პრეტენდენტი შპს „ინსტა ჯორჯია“ გამოაცხადეს, რომელსაც 2 070 000-ლარიანი ხელშეკრულება გაუფორმეს.

2011 წლის თებერვალსა და აპრილში კომპანიის მიერ შესყიდული ლაბორატორიული მოწყობილობის ერთეულის ღირებულებამ, საქონლის მიწოდების პირობით — „EXW ანკარა“, 8 870 ლარი შეადგინა. შესაბამისად, ლაბორატორიის შესყიდვის საერთო ფასად 1 330 500 ლარი დაფიქსირდა, რაც რეალიზებული ლაბორატორიის ფასზე 35%-ით ნაკლები იყო.

2011 წლის 3 ივნისს, სააგენტომ კვლავ გამოაცხადა ტენდერი — SPA110015027, 150 კომპლექტი სამეცნიერო ლაბორატორიის შესყიდვაზე, რომელშიც სამი კომპანია მონაწილეობდა. მათ შორის, შპს „ინსტა ჯორჯია“, შპს „ჯეო დეკორი“ და ი/მ „იური გაგნიძე“. ტენდერის სავარაუდო ღირებულება კვლავ 2 070 000 ლარი იყო, რომლიდანაც ინდმეწარმე „იური გაგნიძეს“, ნიმუშის წარუდგენლობის გამო, დისკვალიფიკაცია მიანიჭეს. შედეგად, სატენდერო კომისიამ შესყიდვის პროცედურები შეწყვიტა. 2011 წლის 30 ივნისს, მთავრობის ნებართვის საფუძველზე, სააგენტომ გამარტივებული ტენდერი — SPA110017427 გამოაცხადა, რომელიც ისევ 150 კომპლექტი სამეცნიერო ლაბორატორიის შესყიდვას ეხებოდა. ტენდერის სავარაუდო ღირებულება 2 055 000 ლარით განისაზღვრა, რომელშიც მხოლოდ შპს „ინსტა ჯორჯია“ მონაწილეობდა და რა თქმა უნდა, გამარჯვებულადაც ეს კომპანია გამოაცხადეს.

2011 ივლისსა და აგვისტოში, შპს „ინსტა ჯორჯიას“ მიერ შესყიდული ლაბორატორიული მოწყობილობის ერთეულის ღირებულებამ, საქონლის მიწოდების პირობით — „EXW ანკარა“ (100 კომპლექტი) და „FCA ანკარა“ (50 კომპლექტი), 8 656 ლარი შეადგინა. შესაბამისად, ლაბორატორიის შესყიდვის საერთო ფასად 1 298 400 ლარი დაფიქსირდა, რაც 756 600 ლარით, ანუ 37%-ით ნაკლები იყო რეალიზებული ლაბორატორიის ფასზე.

2011 წლის 26 დეკემბერს სააგენტომ გამოაცხადა ტენდერი — SPA110032589, რომელიც 250 კომპლექტი სამეცნიერო ლაბორატორიის შესყიდვას ეხებოდა. ტენდერის სავარაუდო ღირებულება 3 425 000 ლარი იყო და ამ ტენდერშიც მხოლოდ შპს „ინსტა ჯორჯია“ მონაწილეობდა, რომელიც გამარჯვებულად გამოაცხადეს. 2012 წლის თებერვალსა და მარტში, კომპანიამ იმპორტირებული ლაბორატორიული მოწყობილობა მიაწოდა სააგენტოს, რომლის ერთეულის ღირებულებად საქონლის მიწოდების პირობით — „CIP თბილისი“, 9 422 ლარი დაფიქსირდა. აქედან გამომდინარე, ლაბორატორიის საერთო ღირებულებად 2 355 500 ლარი დაფიქსირდა, რაც 1 069 500 ლარით ნაკლები იყო რეალიზებული ლაბორატორიის ფასზე. „ინსტა ჯორჯიას“ ფასნამატმა 1 069 500 ლარი ანუ 32% შეადგინა, მათ შორის, საბაჟო გადასახადი 423 990 ლარი იყო. თანხის გადახდის შემდეგ, შპს „ინსტა ჯორჯიამ“ 645 510 ლარი მიიღო, რაც კომპანიის მიერ რეალიზებული საქონლის ღირებულების 19%-ია.

გაირკვა, რომ, როდესაც „ინსტა ჯორჯია“ სააგენტოს მიერ გამოცხადებულ ტენდერში პირველად მონაწილეობდა, შესყიდვების კომისიამ მისგან სასკოლო ინვენტარის მიწოდების გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა არ მოითხოვა. გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი არც 2011 წლის 3 ივნისის, ანუ მეორე ტენდერზეც არ მოუთხოვიათ, რომელშიც სამი კომპანია მონაწილეობდა და რომელიც ჩაიშალა. მას შემდეგ, რაც შესყიდვების კომისიამ აღმოაჩინა, რომ გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე ტენდერში სხვა პრეტენდენტებიც მონაწილეობდნენ, მომდევნო ანუ 2011 წლის 30 ივნისს გამოცხადებულ გამარტივებულ ტენდერზე, კომისიამ ლაბორატორიული ხელსაწყოების მიწოდების შესახებ გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი მოითხოვა. მიწოდების ოდენობა კი არანაკლებ 1 000 000 ლარი უნდა ყოფილიყო.

სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ შესყიდვების კომისიამ ზუსტად ისეთი მოთხოვნა წაუყენა პრეტენდენტებს, რაც მხოლოდ შპს „ინსტა ჯორჯიას“ შეიძლება ჰქონოდა. სწორედ ეს იყო მიზეზი, რის გამოც ტენდერში კონკურენტული გარემო ხელოვნურად შეიზღუდა და მხოლოდ ერთი კომპანია მონაწილეობდა. მეტიც, სატენდერო კომისია სარეკომენდაციო წერილსაც ითხოვდა, რომლითაც კომპანიის მიერ სასკოლო ინვენტარის მიწოდების ვალდებულება კეთილსინდისიერად სრულდებოდა. შპს „ინსტა ჯორჯიას“ შემთხვევაში, სარეკომენდაციო წერილი თავად სააგენტომ გასცა, ანუ ამ უკანასკნელმა საკუთარ თავს შეატყობინა, რომ შპს „ინსტა ჯორჯია“ ვალდებულებას ასრულებდა.

დარღვევები მერხებისა და სკამების შესყიდვაში

2011 წლის 7 აპრილს, სააგენტომ გამოაცხადა ტენდერი — SPA110010113, რომელიც 9 090 ცალი მერხისა და სკამის შესყიდვას ეხებოდა. ტენდერის სავარაუდო ღირებულება 1 000 000 ლარით განისაზღვრა, რომელშიც ხუთი კომპანია მონაწილეობდა — შპს „ინსტა ჯორჯია“, დახურული სააქციო საზოგადოება (დსს) „მინიოს ბალდაი“, შპს „ექსიმ ტრაფიკი“, ს/ს „სასკოლო ინვენტარის ფაბრიკა“ და შპს „მსმ გროუპი“. ტექნიკური დოკუმენტების შეუსაბამობის გამო, სატენდერო კომისიამ დაბალფასიან პრეტენდენტებს — შპს „მსმ გროუპსა“ და ს/ს „სასკოლო ინვენტარის ფაბრიკას“ დისკვალიფიკაცია მიანიჭა. ამის შემდეგ, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, სატენდერო კომისიამ შესყიდვის პროცედურები შეწყვიტა, მაგრამ კომისიის სხდომის ოქმებში ჩამოყალიბებული და განმარტებული არ არის, თუ რა ინტერესის დაცვის გამო შეწყვიტეს ტენდერი.

2011 წლის 30 მაისს, სააგენტომ კიდევ ერთხელ გამოაცხადა ტენდერი — SPA110014465, რომელიც კვლავ 9 090 მერხის შესყიდვას ეხებოდა. წინა ტენდერის მსგავსად, ამ ტენდერის სავარაუდო ღირებულებად 1 000 000 ლარი განისაზღვრა, რომელშიც რვა კომპანია მონაწილეობდა: შპს „ინსტა ჯორჯია“, დსს „მინიონ ბალდაი“, შპს „ექსიმ პარკეტი“, ი/მ „ირმა მებურიშვილი“, შპს „მსმ გროუპი“, შპს „ვერტექს მანუფაქტურინგი“, შპს „ხარება 2000“ და შპს „მაკაგონი“. ნიმუშის შეუსაბამობის გამო, სატენდერო კომისიამ „მსმ გროუპსა“ და „ვერტექს მანუფაქტურინგს“ დისკვალიფიკაცია მიანიჭა. მართალია, ყველაზე დაბალი ფასის მქონე კომპანიის, „მინიოს ბალდაის“ მონაცემები შემსყიდველის მოთხოვნებს შეესაბამებოდა, მაგრამ სატენდერო კომისიამ კომპანიას მერხის ნიმუშის წარდგენა სამი დღის ვადაში მოსთხოვა. „მინიოს ბალდაის“ მიერ ნიმუშის წარდგენის ვადის ამოწურვამდე ორი დღით ადრე, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, სააგენტომ შესყიდვის პროცედურები ისე შეწყვიტა, ნიმუში არც კი უნახავს. მეტიც, სატენდერო კომისიას არც ამ შემთხვევაში განუმარტავს, რაში გამოიხატებოდა სახელმწიფო ინტერესი. არადა, „მინიოს ბალდაის“ მიერ შემოთავაზებული ერთეული საქონლის ფასი 74 ლარი იყო, რაც 36 ლარით ნაკლებია შემდგომ პერიოდში, ანუ 2011 წლის 30 ივნისს გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული შპს „ინსტა ჯორჯიას“ ფასზე.

2011 წლის 30 ივნისს, მთავრობის ნებართვის საფუძველზე, სააგენტომ ისევ გამოაცხადა ტენდერი — SPA110017441, რომელიც 10 000 ცალი მერხისა და სკამის შესყიდვას ეხებოდა. ტენდერის სავარაუდო ღირებულება 1 100 000 ლარით განისაზღვრა, რომელშიც ორი კომპანია — შპს „ინსტა ჯორჯია“ და დსს „მინიოს ბალდაი“ მონაწილეობდნენ. „მინიოს ბალდაის“, როგორც დაბალფასიან პრეტენდენტს, სატენდერო კომისიამ 2011 წლის 4 ივლისს სთხოვა, ორი დღის ვადაში ნიმუში წარედგინა.

2011 წლის 7 ივლისს, სატენდერო კომისიამ „მინიოს ბალდაის“ ნიმუშის დადგენილ ვადაში წარმოუდგენლობის გამო, დისკვალიფიკაცია მიანიჭა და ტენდერში გამარჯვებულად „ინსტა ჯორჯია“ გამოაცხადა. ამ კომპანიას სააგენტომ 1 110 000-ლარიანი ხელშეკრულება გაუფორმა, ანუ ერთეული საქონლის ღირებულება 110 ლარი იყო. სახელმწიფო აუდიტორები კი ასკვნიან, რომ ორდღიანი ვადის განსაზღვრა, რათა კომპანიას ნიმუში წარედგინა, მხოლოდ ფიქციური პირობა იყო, რადგან ეს საკმაოდ მცირე დრო იყო იმისთვის, კომპანიას ნიმუშის იმპორტირება განეხორციელებინა.

2012 წლის 10 თებერვალს, სააგენტომ ისევ გამოაცხადა ტენდერი — SPA120005032, რომელიც 30 000 ცალი მერხისა და სკამის შესყიდვას ეხებოდა. ტენდერის სავარაუდო ღირებულება 4 000 000 ლარით განისაზღვრა, რომელშიც მხოლოდ ერთი კომპანია, შპს „ინსტა ჯორჯია“ მონაწილეობდა. კონკურენციის არარსებობის გამო, გამარჯვებულად „ინსტა ჯორჯია“ გამოაცხადეს და ხელშეკრულებაც გაუფორმეს. წინა ტენდერებიდან გამომდინარე, სატენდერო კომისიამ იცოდა, ერთეული სასკოლო მერხისა და სკამის ღირებულება 110 ლარი იყო, მაგრამ ამის მიუხედავად, სააგენტომ მისი ფასი 110-დან 133 ლარამდე უსაფუძვლოდ გაზარდა.

დასასრული მე-4 გვერდზე

თიბისი ბანკის კლიენტი მეწარმეები საკონსულტაციო დახმარებას მიიღებენ

თიბისი ბანკის კლიენტი მცირე და საშუალო საწარმოები ტექნიკურ და საკონსულტაციო დახმარებას უცხოელი კონსულტანტებისგან მიიღებენ. ამის შესაძლებლობას მათ თიბისი ბანკის „ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამა“ და ჰოლანდიური ტექნიკური დახმარების პროგრამა PUM Netherlands senior experts აძლევთ.

ტექნიკური დახმარების პროგრამაში მოსახვედრად საწარმოებმა სპეციალურ კონკურსში უნდა მიიღონ მონაწილეობა. კონკურსის შედეგად 10 კომპანია შეირჩევა, რომელთაც საშუალება მიეცემათ რამდენიმე კვირით, მინიმალური დანახარჯით, თავიანთი ბიზნესის განვითარებისა და წინსვლისათვის მოიწვიონ ჰოლანდიელი სპეციალისტები და კონსულტანტები, ხოლო მეორე ეტაპზე, ჰოლანდიაში სტაჟირებაზე მიავლინონ თავიანთი თანამშრომლები.

კონსულტაციები, რომლებსაც ქართველი მეწარმეები მიიღებენ საქართველოში და ჰოლანდიაში, მოიცავს როგორც ტექნიკურ, ასევე მენეჯმენტის საკითხებს.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კომპანია აუცილებელია აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: უნდა ჰყავდეს მინიმუმ 10 თანამშრომელი, ჰქონდეს საქმიანობის მინიმუმ 2-წლიანი ისტორია და იყოს თიბისი ბანკის მსესხებელი კლიენტი. ერთობლივი თანამშრომლობის ფარგლებში კონკურსის შედეგად შესარჩევი პრიორიტეტული დარგებია მრეწველობა (მათ შორის ნებისმიერი ტიპის წარმოება და გადამუშავება) და სოფლის მეურნეობა.

PUM Netherlands senior experts, რომელსაც ნიდერლანდების მთავრობა აფინანსებს, სხვადასხვა დარგის 3000-ზე მეტ სპეციალისტს, ექსპერტს, მენეჯერს, მეწარმეს და კონსულტანტს აერთიანებს, რომლებიც უკვე 30 წელია ხელს უწყობენ მეწარმეობის განვითარებას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც.

თიბისი ბანკი, რომელიც მუდმივად ორიენტირებულია მცირე და საშუალო ბიზნესის ნახალისებასა და განვითარებაზე, ამჯერად, საკუთარი კლიენტების წარმოების განვითარების ხელშესაწყობად, ჰოლანდიურ პროგრამასთან იწყებს თანამშრომლობას. ბანკი აპირებს, შემდგომშიც გააგრძელოს ამ სექტორისთვის სასარგებლო პროექტების ინიცირება და შეთავაზება.

პროგრამაში მონაწილეობის მსურველებმა, რომლებიც მონაწილეობის კრიტერიუმებს შეესაბამებიან, უნდა შეავსონ სააპლიკაციო განაცხადი, რომელიც განთავსებულია ვებგვერდზე — tbcbusiness.ge.

„მნიშვნელოვანი დეტალი შევნიშნე — ცხვირიდან წამოსული სისხლის მიმართულება ქვემოდან ზემოთ იყო... გაჩნდა კითხვა, გარდაცვალების დროს იჯდა თავგადაწეული თუ შემდეგ დაასვენეს“

რა გაუმხიდა „ვერსიას“ მაია ნიკოლეიშვილმა

ირუსუდან შელია
557-100-768

ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით მეტი საეჭვო კითხვა ჩნდება, რომელიც საზოგადოებაში თვითმკვლელობის ვერსიას თითქმის გამორიცხავს. მაგალითად, რატომ არ არის იარაღზე სისხლის კვალი, როცა, როგორც გარდაცვლილის ძმა აცხადებს, მანქანაში ნაჟღენთები მრავლად შეიმჩნევა. თანაც ცნობილია, რომ „რუსთავი 2“-ის დამფუძნებელს იარაღის მჭიდრო მიბჯენის კვალი ეტყობა... გარდაცვლილის სამედიცინო ექსპერტიზას, ოჯახის თხოვნით, დამოუკიდებელი ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი დაესწრო, რომელიც „ვერსიასთან“ ექსპერტიზისას აღმოჩენილ მნიშვნელოვან დეტალებზე პირველად საუბრობს.

— გარდაცვლილს მკლავზე შხეფები აქვს, რომელიც გამოძიების პროცესში საკმაოდ მნიშვნელოვანი დეტალია. ახლა მანქანის დათვალიერებისას უნდა დადგინდეს, შხეფები გვერდით სავარძელზე გრძელდება თუ წყვეტაა, რაც პასუხს გაგვცემს კითხვაზე — იყო თუ არა ავტომობილში მეორე ადამიანი?

— ორი მნიშვნელოვანი დეტალი უკვე გამოიკვეთა — შემთხვევის ადგილზე ნაპოვნ იარაღზე სისხლის კვალი არ ფიქსირდება და უსაფრთხოების ღვედი ეკეთა. ეს ორი დეტალი თქვენთვის საეჭვო არ არის?

— ამ შემთხვევაში, პარალელს ზურა ვაზაგაშვილის საქმესთან გავავლებ, როცა სისხლის კოლტებში ნაპოვნ იარაღზე სისხლი, წვეთიც კი არ იყო. იარაღთან ერთად, საინტერესოა ღვედიც. სამედიცინო ექსპერტიზაზე ტანსაცმელი დეტალურად დავათვალიერე. კარგად მახსოვს, დაფიქსირებული ნაჟღენთები და სისხლის კვალი... თუ ღვედზე იგივე კვალი არ არის, საქმეში დამატებითი კითხვა გაჩნდება. კერძოდ, ჰქონდა თუ არა ეროსი კიწმარიშვილს მანქანაში ღვედი გადაკრული თუ ღვედი მანამდე გაიჟღინთა? არაოფიციალურად ვიცი, იარაღის მდებარეობის შესახებ, თუმცა კონკრეტულად ამაზე ვერ ვისაუბრებ და ვერც სრულ სურათს ავაწყობ. ამ მიმართულებით ოფიციალური გამოძიება მუშაობს.

— თეორიულად, შესაძლებელია, მჭიდრო მიბჯენით გასროლილ იარაღზე ერთი წვეთი სისხლიც არ დარჩენილიყო?

— ამ შემთხვევაში, იარაღის ლულაა გამოსაკვლევი. შესაძლებელია, იარაღს გარედან სისხლი არ ეტყობოდეს, თუმცა ლულაში დიდი ალბათობით, კვალი უნდა იყოს. ამის შემდეგ გაირკვევა, შემთხვევის ადგილზე ნაპოვნი იარაღით გარდაიცვალა თუ არა.

— პარალელი ორჯერ გაავლეთ ვაზაგაშვილის საქმესთან. არსებობს ეჭვი, რომ იარაღი შემთხვევის ადგილზე მოგვიანებით ჩადეს. ამ შემთხვევაშიც იგივე ვერსია გაქვთ?

— პარალელს იმიტომ ვავლებ, რომ სისხლში ჩაგდებულ იარაღს სისხლის კვალი არ ჰქონდა, რაც ლოგიკაში არ ჯდება. თუ ამ შემთხვევაშიც, იარაღი სისხლის გუბეში იდო, მაგრამ მასზე კვალს ვერ ვიპოვით, ბუნებრივია, გაჩნდება ეჭვი, რომ შემთხვევის ადგილზე შემდეგ დააგდეს. ამ ეტაპზე, ლულის ბიოლოგიური გამოკვლევა უნდა ჩატარდეს, ვისი სისხლია მასში.

— სამედიცინო ექსპერტიზაზე გვამზე არსებულ დაზიანებებს რამდენიმე საათი სწავლობდით. საეჭვო დეტალი ვერ აღმოაჩინეთ?

— თავის ქალაზე მოტეხილობა დაფიქსირდა, რომლის ხაზების განლაგებაზე დიდხანს ვიფიქრეთ. როცა გარდაცვლილის გვამი დეტალურად დავათვალიერეთ და გაირკვა, რომ ქალას ფუძე დაზიანებულია, ყველა კითხვაზე პასუხი ლოგიკურად დალაგდა. სხვათა შორის, ერთი მნიშვნელოვანი დეტალიც შევნიშნე — სისხლის ჩამონაღვენთების დათვალიერებისას, ცხვირიდან წამოსული სისხლის მიმართულება ქვემოდან ზემოთ იყო.

— თვითმკვლელობის შემთხვევაში, ლოგიკურად, გარდაცვლილს თავი გვერდულად ან წინ უნდა ჩამოვარდნოდა. სისხლის მიმართულება ქვემოდან ზემოთ რატომ დაფიქსირდა?

— რა თქმა უნდა, გაჩნდა კითხვა, გარდაცვალების დროს იჯდა თავგადაწეული თუ შემდეგ დაასვენეს. სისხლის ხაზი ნესტოზე გადის, მაგრამ საბოლოოდ, ესეც იმით აიხსნება, რომ ქალას ფუძე დაშლილია. ამ დროს ყურებიდან და ცხვირიდან სისხლი გარდაცვლილის დასვენების დროსაც შეიძლება წამოსულიყო.

— სისხლდენის ხანდაზმულობას სამედიცინო ექსპერტიზა ვერ ადგენს?

— ზოგადად, სისხლი საკმაოდ მრავლად დაფიქსირდა, მათ შორის, კისრის მიდამოშიც. ამ შემთხვევაში ცალკე კვლევას არ ატარებენ, რადგან სისხლის მიმართულებები გვაჩვენებს, რა კავშირი აქვს დაზიანებასთან.

— კობა ნარჩემაშვილისთვის იარაღის მიბჯენით თვითმკვლელობაც საეჭვოა, რადგან გასროლისას საფეთქელსა და ლულას შორის მანძილი ინერციით იზრდება. მნიშვნელოვანია მიბჯენის კვალიც. ახლა რატომ ვერ დადეთ კონკრეტული პასუხი გარდაცვალების კვალიფიკაციაზე თუ დეტალურ ინფორმაციას შეგნებულად არ ასაჯაროებთ?

— პრაქტიკაში „შტანცმარკა“ მრავლად მინახავს, მაგრამ ასეთ გამოხატულს ატლასშიც ვერ ნახავთ. თანაც მიბჯენა შეიძლება იყოს როგორც მკვლელობის, ისე თვითმკვლელობის შემთხვევაშიც და საეჭვოდაც ვერ ჩაითვლება. სამედიცინო ექსპერტიზა არ ამბობს, მკვლელობაა თუ თვითმკვლელობა. ეს გამოძიების პრეროგატივაა. ამ შემთხვევაში დაზიანება თუნდაც კეფის მიდამოში რომ ყოფილიყო და ასეთი სრული მიბჯენით, კუთხე სხვა დაჯდებოდა. სამედიცინო ექსპერტიზაც მარტივად იტყოდა, რომ ადამიანი საკუთარი ხელით ასეთ კვალს ვერ დატოვებდა. ლევან სამხარაულის მკვლელის, მჭედლიშვილის შემთხვევას გავიხსენებ, რომელმაც თავი ორი იარაღით მოიკლა — გადაჭრილი იარაღით გულზე ჭრილობას თავად ვერ მიიყენებდა.

— პირველადი დათვალიერების შემდეგ, გარდაცვლილის ხელზე დენთის კვალიც არ შეიმჩნევა. ეს არ ნიშნავს, რომ გასროლის დროს კიწმარიშვილს იარაღი ხელში არ ეჭირა?

— დენთის კვალზე კრიმინალისტები მუშაობდნენ. პირადად ვნახე, როგორ აიღეს ანაბეჭდები ლაბორატორიულ გამოკვლევაზე. რაც შეეხება შავ კვალს, თანამედროვე იარაღებში დენთი არ რჩება. თუ გარდაცვლილის ხელზე დენთის კვალი არ აღმოჩნდება, თვითმკვლელობის ვერსიაზე საუბარი გამორიცხულია.

— უკვე ნახსენებ მკვლელობებთან ერთად, ზურა ჟვანიასა და სანდრო გირგვლიანის საქმესთანაც თუ გაავლებთ პარალელს, რაც მაშინდელი ხელისუფლების დასასრულის დასაწყისი გახდა. ახლანდელი ხელისუფლებაც იგივე წრეზე მიდის?

— ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალებიდან ორ დღეში ხელისუფლების როლზე ვერ ვისაუბრებ. არ შეიძლება, ყოველთვის შოლტი ხელისუფლებას ურტყა, გამოძიება კი შანტაჟის პირობებში ამყოფო. ხელისუფლების მიმართ გვიან განვიხიბლები ხოლმე და ბოლოს გულდაწყვეტილი ვრჩები, მაგრამ მირჩევნია, ახლა პოზიტიურად განვეწყო, რადგან საქმეში გვახედებენ და ექსპერტიზასაც დავესწარი.

— კიდევ ერთი პარალელი: შოლტი ნაციონალურმა მოძრაობამ ჟვანიას გარდაცვალებისთანავე ვანო მერაბიშვილის წინასწარი შეფასებების გამო მიიღო. ეროსი კიწმარიშვილის საქმე ფაქტიდან რამდენიმე წუთში თვითმკვლელობად შეფასდა. ინფორმაცია დღესაც დახურულია პროკურატურაში, თუმცა ის ადამიანები, რომლებიც ჟვანიას ექსპერტიზის პირდაპირ ეთერში ჩართვას ითხოვდნენ, დღეს ხმას არ იღებენ.

— მაშინ ექსპერტიზაზე არ ვყოფილვარ და მასალებზე წვდომაც არ გვქონდა. ჟვანიას საქმეში მხოლოდ მინუსებსა და იმ შეცდომებზე ვიმუშავეთ, რომელსაც გამოძიება უშვებდა. პირადად გვამის სამედიცინო ექსპერტიზის პირდაპირ ეთერში ჩართვის მოთხოვნა არასოდეს გამიხმაურებია და უფლებაც არ მქონდა, რადგან ასეთ დროს გადამწყვეტი სიტყვა ოჯახზეა. ახლა საკმაოდ ბევრი ინფორმაცია ვრცელდება, თუნდაც შტანცმარკაზე მსჯელობა ბევრს ნიშნავს. ბუნებრივია, არის რაღაც დეტალები, რასაც არ ვასაჯაროებ და მხოლოდ ოჯახის წევრებსა და ადვოკატთან ვიტყვი.

განათლების ექსმინისტრ ხატია დეკანოიძეს პროკურატურაში დაიბარებენ?

მე-3 გვერდიდან

2012 წლის მარტი-ივნისის პერიოდში, „ინსტა ჯორჯიას“ მიერ იმპორტირებული მერხების ერთეულის ღირებულებამ, საქონლის მიწოდების პირობით — „CIP თბილისი“, 78 ლარი შეადგინა. შესაბამისად, მერხებისა და სკამების საერთო ფასად 2 340 000 ლარი დაფიქსირდა, რაც 1 660 000 ლარით, ანუ 41%-ით ნაკლები იყო რეალიზებული მერხების ფასზე. კომპანიამ პროდუქციის განბაჟებაში 426 600 ლარი გადაიხადა და 1 233 400 ლარი დარჩა, რაც მის მიერ რეალიზებული საქონლის ღირებულების 30%-ია.

2012 წლის 29 მაისს, მთავრობის დადგენილების საფუძველზე, სააგენტომ 22 500 მერხის შესყიდვაზე გამარტივებული ტენდერი გამოაცხადა. ტენდერის სავარაუდო ღირებულება 3 000 000 ლარით განისაზღვრა, რომელშიც სამი — ორი არარეზიდენტი და ერთი რეზიდენტი კომპანია მონაწილეობდა. კერძოდ, შპს „ინსტა ჯორჯია“, თურქული კომპანია „ილდირიმ ბიურო მობილიალარი“ და ასევე თურქული „დემლაინი“. ტენდერში გამარჯვებულად კომპანია „დემლაინი“ გამოაცხადეს, რომელმაც ერთეული საქონლის ფასი 133-დან, 124 ლარამდე შეამცირა.

2012 წლის 5 სექტემბერს, შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10 პრიმა მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ასევე 2012 წლის 5 სექტემბერს, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, ხატია დეკანოიძის 10526 წერილის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, სააგენტომ შპს „ინსტა ჯორჯიასთან“ გააფორმა ხელშეკრულება 5 800 ცალი სასკოლო მერხისა და სკამის შესყიდვაზე. შესყიდვის საერთო ღირებულება 721 520 ლარი იყო, ხოლო ერთეული საქონლის ღირებულებად 124 ლარი და 40 თეთრი განისაზღვრა. 2012 წლის 14 სექტემბერს, ამავე კანონისა და ხატია დეკანოიძის №11137 წერილის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, სააგენტომ კვლავ შპს „ინსტა ჯორჯიასთან“ გააფორმა ხელშეკრულება 3 100 ცალი სასკოლო მერხისა და სკამის შესყიდვაზე. შესყიდვის საერთო ღირებულება 385 640 ლარი იყო, ხოლო ერთეული საქონლის ფასად 124 ლარი და 40 თეთრი დაფიქსირდა. 2012 წლის 27 სექტემბერს, ისევ ამ კანონისა და ხატია დეკანოიძის №11137 წერილის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვით, სააგენტომ შპს „ინსტა ჯორჯიასთან“ გააფორმა ხელშეკრულება და 7 100 ცალი სასკოლო მერხი და სკამი შეისყიდა. საერთო ღირებულება 883 240 ლარი იყო, ხოლო ერთეული საქონლის ფასად ისევ 124 ლარი და 40 თეთრი დაფიქსირდა. 2012 წლის სექტემბერში, სააგენტომ მთლიანობაში 12 920 ცალი სასკოლო მერხი და სკამი შეისყიდა, რომლის საერთო ღირებულება 1 607 248 ლარი გახლდათ.

„ინსტა ჯორჯიასთვის“ შეცვლილი სატენდერო პირობები

2012 წლის 7 აპრილსა და 30 მაისს, „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოს“, მის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში გამოცდილების შესახებ ინფორმაციის წარდგენა არ მოუთხოვია, რამაც ტენდერებზე მონაწილე კომპანიებს შორის, მაღალი კონკურენცია განაპირობა. როდესაც გამოვლინდა, რომ ამ გზით, შპს „ინსტა ჯორჯია“ ვერ გაიმარჯვებდა, რადგან მასზე უფრო დაბალი ფასები სხვა კომპანიებმა დააფიქსირეს, სატენდერო კომისიამ დოკუმენტაციაში ცვლილება შეიტანა და პრეტენდენტებისგან სასკოლო ინვენტარის მიწოდების გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია მოითხოვა. ამავე ცვლილებაში კომისიამ ისიც დააზუსტა, რომ მიწოდებული საქონლის ღირებულება 1 000 000 ლარზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო.

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ მერხების შესყიდვაზე სატენდერო კომისიამ არა მერხების მიწოდების, არამედ ზოგადად, სასკოლო ინვენტარის მიწოდების გამოცდილება მოითხოვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებობდა რისკი, რომ ტენდერში „მინიოს ბალდაი“ გაიმარჯვებდა, რომელმაც 2009 წელს, ამ სააგენტოს 4 178 250 ლარის მერხები მიაწოდა და გამოცდილების დამადასტურებელ დოკუმენტაციასაც წარადგენდა. ასეთ შემთხვევაში, „ინსტა ჯორჯია“ ვერ გაიმარჯვებდა, რადგან ამ კომპანიას მერხების მიწოდების გამოცდილება არ ჰქონდა.

მსგავსი მოთხოვნის გამო, ტენდერზე კონკურენცია შეიზღუდა, რადგან 1 000 000 ლარის ღირებულების სასკოლო ინვენტარის მიწოდების გამოცდილება ბევრ კომპანიას არ ჰქონდა. 2012 წელს, სააგენტომ დასაბუთების გარეშე, ერთეული მერხის ფასი 23 ლარით, ანუ 110-დან 133 ლარამდე გაზარდა. დაუსაბუთებლად ფასის ზრდის გამო, შპს „ინსტა ჯორჯიას“ ფასნამატი 15%-დან 30%მდე გაიზარდა. ასეთი გაძვირების გამო, სააგენტომ ზედმეტად 700 000 ლარი გადაიხადა. იმავე წელს, იმავე საქონელზე ზეპირი ვაჭრობის შედეგად, სხვა კომპანიამ ერთეული საქონლის ფასი საგრძნობლად დააკლო და 23-ლარიანი ზრდა 14 ლარამდე, ანუ 133 ლარიდან 124 ლარამდე შეამცირა. 2012 წლის სექტემბერში, სააგენტომ 124 ლარამდე შემცირებული ერთეულის ფასით, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, ხატია დეკანოიძის ბრძანების საფუძველზე, სამჯერ შეიძინა სასკოლო ინვენტარი „ინსტა ჯორჯიასგან“. მთლიანობაში, 12 920 ცალ სასკოლო მერხსა და სკამში, სააგენტომ შპს „ინსტა ჯორჯიას“ 1 607 248 ლარი გადაუხადა. სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ სატენდერო კომისიის ქმედებებში, „ინსტა ჯორჯიასთვის“ ტენდერებზე უპირატესობის მინიჭების ტენდენცია გამოიკვეთა. ჯამში, ამ კომპანიას 12 650 000 ლარის ღირებულების ხელშეკრულებები გაუფორმეს. მთლიანობაში, სააგენტოს მიერ გამოცხადებული 6 ტენდერიდან, „ინსტა ჯორჯია“ ექვსივეში მონაწილეობდა. მიუხედავად იმისა, რომ „ინსტა ჯორჯია“ ყველა შემთხვევაში უმაღლეს ფასს აფიქსირებდა, სააგენტოს გამოცხადებულ 5 ტენდერში გაიმარჯვა. კონკურენციის არარსებობის პირობებში, კომპანია მაქსიმალური მოგების მიღებას ცდილობდა, რაც სახელმწიფო აუდიტის დასკვნაშიც აშკარად გამოჩნდა.

P.S. „ვერსია“ განათლებისა და მეცნიერების ექსმინისტრ ხატია დეკანოიძეს დაუკავშირდა, რომელმაც ვრცელ ინტერვიუზე უარი გვითხრა და აუდიტის სახელმწიფო სამსახურის მიერ მთავარ პროკურატურაში გადაგზავნილ დასკვნაზე მცირე კომენტარით შემოიფარგლა: „არ ვიცი, რას წარმოადგენს კომპანია „ინსტა ჯორჯია“ და არანაირი შეხება მათთან არ მქონია. თუ ჩემთან კითხვები აქვთ, დამიკავშირდნენ მთავარი პროკურატურის წარმომადგენლები და პასუხს გავცემ. ამის შემდეგ გავაკეთებ ვრცელ კომენტარს თქვენთანაც და ნებისმიერ დაინტერესებულ პირთანაც. რაც შეეხება ელექტრონულ ტენდერებს, ცალსახად გეტყვით, რომ ჩემი მინისტრობის დროს, განათლების სამინისტროს რომელიმე წარმომადგენელს და მათ შორის მეც, კონკურენცია ხელოვნურად არ შეგვიზღუდავს, ასეთი რამ გამორიცხულია! შესაბამისად, ასეთი ფაქტებს ადგილი ნამდვილად არ ჰქონია და რაც მთავარია, არც ერთი კომპანიისთვის უპირატესობა არ მიგვინიჭებია“.

„შესაძლოა, ვიღაცას ხელს ვუშლი ჩემი არსებობით“...

ნინო კომახიძე
599-95-33-16

ეროსი კიწმარიშვილის მკვლელობის, თვითმკვლელობისა თუ უბედური შემთხვევის ირგვლივ მითქმა-მოთქმა გრძელდება. უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს იმ ადამიანთა სიაც, რომელსაც სიკვდილისწინა საათებში კიწმარიშვილმა დაურეკა, ესაუბრა, შეხვდა ან შეხვედრას აპირებდა... პროკურატურამ კიწმარიშვილის გააქტიურებულ მეგობართაგან ერთ-ერთი, „თრიალეთის“ გენდირექტორი შეარჩია დასაკითხად. ბადრი ნანეტაშვილი კი მედიასაშუალებებს დღემდე ნაწილ-ნაწილ უამბობს ახალ ინფორმაციებს. მისი მონაყოლით ირკვევა, რომ ეროსი კიწმარიშვილმა იარაღი მაღაზია „დიანაში“ ძმისთვის საჩუქრად შეიძინა, გასაფორმებლად საბუთები კი შსს-ს მომსახურების სააგენტოში წაიღო. 17 ივლისს, საღამოს გაჟღერდა ვერსია, თითქოს კიწმარიშვილის მანქანიდან ის თანხა გაქრა, რომელიც საარჩევნო შტაბისთვის უნდა დაერიგებინა და ეს ამბავი, ირიბად, რუსთავის არჩევნებს დაუკავშირდა, თუმცა ეს ალბათ, ნაკლებსავარაუდოა.

კითხვისნიშანი ძალიან ბევრია: რატომ გააფორმა ძმის საჩუქარი საკუთარ სახელზე სიკვდილის დღეს კიწმარიშვილმა, თუ მოიკლა თავი, ეს ახალი იარაღით რატომ გააკეთა, როცა ძველი, გაუფორმებელი იარაღი ჰქონდა, რატომ იჯდა ფარებანთებულ მანქანაში, ღვედგადაჭერილი, ვინ ან რატომ მიატრიალა ავტოფარეხში კამერა, რომელიც კიწმარიშვილის მოთხოვნით დამონტაჟდა და ზუსტად მის მანქანას უყურებდა?! პროკურატურის ერთ-ერთ განცხადებაშიც გამოჩნდა სიტყვა „მკვლელობა“, რომელიც მოგვიანებით „გადაკეთდა“, მაგრამ ოფიციალურ ვებგვერდზე (pog.gov.ge) მაინც წაიკითხავთ, „მოწმდება და განიხილება როგორც თვითმკვლელობის, ასევე მკვლელობისა და სხვა შესაძლო ვერსიები“. ამასობაში, ეროსი კიწმარიშვილის გვამის პირველადი ექსპერტიზაც სრულდება და ისევ სხვადასხვა ვერსია გვესმის. პარალელურად, ყოფილი შს მინისტრი კობა ნარჩემაშვილი ამბობს, რომ მიბჯენით თავის მოკვლა შეუძლებელია, რადგან გასროლისას საფეთქელსა და ლულას შორის მანძილი ინერციით იზრდება. მთელი ამ ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციების კვალდაკვალ, გადავწყვიტეთ, „ვერსიისა“ და სხვა მედიასაშუალებებისთვის მიცემულ ინტერვიუებზე დაყრდნობით, იმ პირთა წრე დავავიწროოთ, ვისაც კიწმარიშვილის სიკვდილი, რბილად რომ ვთქვათ, ხელს აძლევდა.

„რუსთავი 2“ — ვინ იბრძვის არხის წილებისთვის და ვის აწყობდა კიწმარიშვილის გზიდან ჩამოშორება

ყველაზე გავრცელებულ ვერსიათაგან ერთ-ერთი „რუსთავი 2“-ზე გადის. მით უმეტეს, საუბრობენ, რომ ხელისუფლება არხზე თავდასხმას გეგმავდა, რასაც კიწმარიშვილის მკვლელობამ, გარკვეულწილად, ხელი შეუშალა. ვინ და როგორ გეგმავდა თავდასხმას, გაურკვეველია, თუმცა თავად კიწმარიშვილი სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე ვიცე-პრემიერ კახა კალაძის განცხადებაზე ამახვილებდა ყურადღებას, რომლის თქმით, „რუსთავი 2“ მალე ნამდვილ მფლობელს დაუბრუნდება. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ რამდენიმე თვის წინ არხის ყოფილი უფროსი და ერთ-ერთი მეწილე გოგი გეგეშიძე გულის შეტევით გარდაცვლილი იპოვეს, თითქოს, პროცესი მართლა „ნამდვილი მფლობელის“ სასარგებლოდ მიდის, მაგრამ ვინაა ეს ნამდვილი მფლობელი — ქიბარ ხალვაში თუ ჯარჯი აქიმიძე და დავით დვალი?! ჯერ კიდევ 2013 წელს, ერთ-ერთ ინტერვიუში კიწმარიშვილმა განაცხადა: **„რაც შეეხება ბრძოლას „რუსთავი 2“-ის დაბრუნებისთვის, ხელისუფლება ჩემს პარტნიორებთან, გარკვეული ალიანსის გზით, ცდილობს არხზე გავლენის მოპოვებას. რა ტიპის და როგორი ალიანსია, არ ვიცი. თუ დვალი და აქიმიძე მართლები არიან, მაშინ მეც მართალი ვარ და, თუ ქიბარია მართალი, მაშინ ბუნებაში შეუთავსებელია, აქიმიძე-დვალიც მართლები იყვნენ“.** ამ „შეუთავსებლობის“ კონკრეტულ დეტალებზე კიწმარიშვილი „ვერსიას“ უამბობდა. ეს იმ პერიოდს დაემთხვა, როცა ივანიშვილი-ხალვაშის მეგობრობაზე აქტიურად საუბრობდნენ, რადგან პარლამენტმა ხალვაში პოლიტდევნილების სიაში შეიყვანა და ქვეყანაში ჩამოსვლის გზა გაუხსნა. მან კი არხის 70%-იანი წილი მოითხოვა: **„ღიად ვამბობ — ხალვაში არ იყო არხის რეალური მფლობელი. ის პირადად სააკაშვილის სახე იყო. ხალვაში ჩემთან ტყუის, თუ თავის 70%-ს იბრუნებს, მაშინ 60%-ის მფლობელი დვალი და აქიმიძე როგორღა გამოდიან მართლები? ამ დროს, ივანიშვილი აცხადებს, რომ ხალვაში მართალი კაცია, რომ დაჩაგრეს და ა.შ. ამავე დროს, ამბობს, რომ მართლები არიან დვალი-აქიმიძეც და ეს პროცესი ჭეშმარიტებამდე რა არითმეტიკით მიჰყავს, ივანიშვილს ჰკითხეთ... ეს ის თემებია, რაზეც მემუარებში ვილაპარაკებ, დიდი ხნის მერე. დღეს ვარ ბიზნესმენი, რომელიც საკუთარ ინტერესებს იცავს და აწარმოებს ორ პროცესს „გადამგდებების“ წინააღმდეგ! ივანიშვილმა ის ზღვარი გადალახა, რასაც ჩემი დუმილი ჰქვია!“** დაბოლოს, როგორც ეკონომიკურმა ექსპერტმა, რომან გოცირიძემ განაცხადა, „ოცნების“ ხელისუფლებამ უდიდესი შეცდომა დაუშვა, როცა „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ ინტრიგების ხლართვა დაიწყო: **„წინა ხელისუფლება „იმედში“ შეჭრის დღეს დამთავრდა, დანარჩენი დროის საკითხი იყო. ამ ხელისუფლების მესაფლავე კი „რუსთავი 2“ გახდებოდა, რომ არა კიწმარიშვილის სიკვდილი, რამაც მარტო არხი კი არა, ხელისუფლებაც გადაარჩინა, თუ, რა თქმა უნდა, ჭკუა ეყოთ“.**

„მაესტრო“ და რუსული კვალი

რატომღაც ამ ვერსიაზე არავინ საუბრობს, თუმცა „მაესტროს“ საქმეზე დაწყებული ღლონტი-კიწმარიშვილის ჩხუბი და 3-წლიანი სასამართლო დავა კიწმარიშვილის ცხოვრებაში ბოლო დრომდე აქტუალური იყო. ვის რა წილი ჰქონდა და აქვს ტელეკომპანია „მაესტროში“, ეს „საიდუმლო“ ბოლომდე დღესაც ამოუხსნელია. ძმები — გია და ლევან გაჩეჩილაძეები, ბაჩო კიკაბიძე, მაკა ასათიანი, მამუკა ღლონტი, კოტე გოგელია, თავად „მაესტროელი“ ჟურნალისტები — ალბათ, ესეც არასრული ჩამონათვალია სხვადასხვა დროს არხის მეწილეებისა. ფაქტი კი ისაა, რომ ეროსი არც მეწილე ყოფილა, არც მფლობელი და დირექტორი, იგი „მაესტროს“ მართვის კომპანიას ხელმძღვანელობდა და არხზე ბიზნესინტერესები ჰქონდა. მეტიც, ჰქონდა პრეტენზია, „მაესტრო“ ახალ „რუსთავი 2“-ად ექცია და ახალი „ვარდების რევოლუცია“ მოეწყო ძველი ხელისუფლებისთვის, თუმცა არ დასცალდა, რადგან ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა და პროცესები სხვაგვარად განვითარდა. ცნობილია, რომ „უცნობმა“ გია გაჩეჩილაძემ „მაესტროზე“ თავისი 25%-იანი წილი მაკა ასათიანს მიჰყიდა. წილის გაყიდვაზე იყო საუბარი მოსკოვში მოღვაწე ბიზნესმენის, მაკა ასათიანის ქმრის, კოტე გოგელიას მხრიდანაც. ამის მერე, ვრცელდებოდა ხმები, რომ არხის ყიდვა ხან ნინო ბურჯანაძეს, ხან ზურაბ ნოღაიდელს, ბოლოს, ლევან ვასაძესაც სურდა. თუმცა ასათიანმა კიდევ ერთი განცხადება გააკეთა და თქვა, „არ იგეგმება წილის გაყიდვა. „მაესტროს“ გუნდთან ერთად, ახალ სეზონზე უამრავ ახალ პროექტს ვგეგმავ“. რა კავშირშია კიწმარიშვილი ამ ყველაფერთან: 2011-2012 წლებში, როცა ღლონტ-კიწმარიშვილს შორის ურთიერთობა საბოლოოდ დაიძაბა, ოქრუაშვილსა და კიწმარიშვილს, სოზარ სუბართან ერთად, „ქართული პარტია“ ჰქონდათ შექმნილი. მას მერე, რაც კიწმარიშვილი „მაესტროს“ ღობეზე გადაძვრა, ირაკლი ოქრუაშვილთან ურთიერთობა აერია, რადგან ექსმინისტრმა, რომელიც ოფიციალურად დუმდა, მხარი ღლონტს დაუჭირა. მეტიც, მაშინ ძმები „გრეჩიხები“, გოგა ხაინდრავა, კოკა გუნცაძე და პარტიასთან დაახლოებული სხვა პირები „ქართული პარტიის“ დაშლას კიწმარიშვილს აბრალებდნენ და შეგზავნილსაც ეძახდნენ. დღეს კი არანაირი განცხადება არ გაუკეთებიათ, განცხადება არ გაუკეთებია ირაკლი ოქრუაშვილსაც, რომელიც ბოლო დღეებია და მათ შორის, 15 ივლისსაც, გორის რაიონის რომელიღაც მიყრუებულ სოფელში იყო და მისი თანაშემწის თქმით, ტელეფონიც გამორთული ჰქონდა. ამ დაპირისპირების დროს მაკა ასათიანისა და კოტე გოგელიას ადვოკატებმა ვრცელი განცხადება გააკეთეს, რომლის ამონარიდი დღეს საგულისხმო და საეჭვოც კი შეიძლება გახდეს: **„2011 წლის აგვისტოში, მაკა ასათიანმა მიიღო ინფორმაცია და „რუსთავის მედიის მართვის კომპანიისგან“ მოითხოვა მისთვის გადარიცხული თანხების შედარება. აღმოჩნდა, რომ კიწმარიშვილს სისტემატურად, ინვესტირებული თანხების გაბერვის გზით, მოპარული ჰქონდა დაახლოებით 500 000 დოლარი. კიწმარიშვილი ასათიანს დაპირდა, რომ ამ თანხას დააბრუნებდა. საუბარს ესწრებოდა ასათიანის მეუღლე კოტე გოგელიაც, რომელმაც შეიტყო რა მოპარული თანხების თაობაზე, დაუყონებლივ მოითხოვა დაბრუნება... ჯამში დავალიანებამ გადააჭარბა 3 მლნ აშშ დოლარს“.** ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რა მეთოდებით მოითხოვდა გოგელია ფულის სასწრაფოდ დაბრუნებას, თუმცა კიწმარიშვილს თავისი სიმართლე ჰქონდა, მით უმეტეს, სიცოცხლის ბოლო დღეებში მიცემულ ინტერვიუში გოგელიაზე ღიად ალაპარაკდა: **„გოგელია ვინცაა, ყველამ იცის. ვინ გგონიათ, „მაესტროზე“ ყოველთვის იყო რუსეთის წარმომადგენელი... გოგელიას დროსაც რუსული კაპიტალის ხელში იყო „მაესტრო“ და ვინ გადაიბარებს, არ ვიცი, მაგრამ რა ცვლილებაც უნდა მოხდეს, ეს გადაბარება უშუალოდ ბიძინა ივანიშვილთან შეთანხმებით მოხდება“. ბოლო** ინფორმაციით კი, რომელიც „ვერსიისთვის“ იყო ცნობილი, 3-წლიანი გაყინული პროცესი აგვისტოში უნდა განახლებულიყო, თუმცა კიწმარიშვილის გარდაცვალების გამო, პროცესი მინიმუმ 6 თვით გადაიდება. „მაესტროსთან“ დაკავშირებით კიწმარიშვილს თავისი გეგმები ჰქონდა, რომელიც „ვერსიაში“ გამოქვეყნდა: **„ამ თემაზე სასამართლოში, ადვოკატ გოჩა სვანიძესთან ერთად, რომელიც „მაესტროს“ ადვოკატის, დიმა გაბუნიას მასწავლებელია, დეტალურად ვისაუბრებთ. სარჩელი, რომელიც 2011 წლის 2 დეკემბერს შევიტანე, სასამართლომ ზუსტად 1 წელი არ განიხილა. ბიძინას მოსვლიდან თვენახევარში, „მაესტროს“ დამფუძნებლებს კრედიტის აღება დასჭირდათ „ქართუდან“, სადაც ჩემს მიერ დაბლოკილი საკუთარი წილის თავისუფლად მოძრაობა არ შეეძლოთ. ატეხეს ერთი ამბავი, სასამართლო ამ საქმეს არ განიხილავსო და რატომღაც, პროცესი დაიძრა... ჩემი მართვის კომპანიას აქეთ აქვს „მაესტროში“ ფული ჩადებული. მოკლედ, იმ ბენეფიტიანად, რასაც ამ არხისგან ველოდი, თანხა 4,5 მილიონ დოლარს შეადგენს... შესაძლოა, ვიღაცას ხელს ვუშლი ჩემი არსებობით, მაგრამ ეს მისი პრობლემაა. გადაგდებას ვერავის ვაპატიებ!“** ეროსი კიწმარიშვილი ითხოვდა კოტე გოგელიასგან მილიონებს თუ პირიქით, სხვა თემაა, ფაქტია, მათ შორის სერიოზული დაპირისპირება იყო და დღეს ერთ-ერთი მათგანი ცოცხალი აღარ არის.

„ნაციონალები“ და „მეგობრები“ — ვინ არის ბადრი ნანეტაშვილი

ბადრი ნანეტაშვილი კიწმარიშვილის საქმის ერთ-ერთი მთავარი მოწმეა, რომელსაც პროკურატურა რამდენიმე საათს კითხავდა. ძმები ნანეტაშვილების ისტორია რამდენიმე წლის წინ საყოველთაოდ ცნობილი იყო. შიდა ქართლის რეგიონული ტელეკომპანია „თრიალეთის“ მფლობელი ბადრი ნანეტაშვილი ნაციონალების დროს დეპუტატიც იყო და გუბერნატორის მოადგილეც, ხოლო ტელეკომპანიის დირექტორი მისი ძმა გახლდათ. 2006 წელს ნანეტაშვილს სადეპუტატო მანდატი შეუწყდა, რადგან „თრიალეთის“ სარედაქციო პოლიტიკაში უხეშ ჩარევას აბრალებდნენ. ვიდრე მანდატს წაართმევდნენ, ნაციონალების რიგები დატოვა, თუმცა მათ სამსახურში 2008 წელს დაბრუნდა და შიდა ქართლის გუბერნატორის, ლადო ვარძელაშვილის მოადგილედ დაინიშნა. ამ პოსტზე თითქმის 2 წელი დაჰყო და ბოლოს ვარძელაშვილსაც დაუპირისპირდა. რა ურთიერთობა ჰქონდათ ნანეტაშვილსა და ნაციონალებს ამის შემდეგ, უცნობია, თუმცა ყოფილი ნაციონალები არ არსებობენ, მით უფრო, ნანეტაშვილი ყოფილი მმართველი პარტიის გუნდში ერთხელ უკვე დაბრუნდა. აქ საინტერესოა იმ შპს „დიანას“ დეტალიც, სადაც კიწმარიშვილმა ძმისთვის საჩუქარი, 1700-ლარიანი იარაღი შეიძინა. ჯერ ერთი, ნაციონალებმა იარაღის ბიზნესი ყველას რომ „აახიეს“, ცნობილი ფაქტია. მათ შორის ისეთმა ბობოლა მაღალჩინოსნებმა, როგორიც დავით კეზერაშვილია ან თუნდაც მიშა ქარელი, რომელიც დღეს საფრანგეთშია, მაგრამ ხელისუფლების შეცვლის მერე, საქართველოში დაბრუნებას აანონსებს. არაოფიციალურად, შპს „კულა“ რომელიც პოპულარულ ნატურალურ წვენებს უშვებს, დღესაც მის მფლობელობაშია. მან და მისმა მეგობარმა, ივანე გოგლიძემ, მეტსახელად „კულამ“ ეს საქმე ბიზნესმენ ელენე ჩიტუაშვილს წაართვეს. მეწარმეთა რეესტრში ოფიციალური მონაცემებით კი 100%-იანი წილის მფლობელი და დირექტორი დღემდე ივანე გოგლიძეა, მიშა ქარელის ძმაკაცი „კულა“. „ვერსიის“ მიერ, უშუალოდ გორელებისგან მოპოვებული ინფორმაციით კი, იარაღის მაღაზია „დიანა“, რომელიც გორშიც იყო გახსნილი, ასევე „კულას“ მფლობელობაშია. ჰოდა „კულას“ და მიშა ქარელის ქონება რამ გაყო?! დღეს იარაღის მაღაზია გორში ისევ ფუნქციონირებს, ოღონდ „მონადირე“ ჰქვია. თუკი „დიანა“ და „მონადირე“ ერთი და იგივე მაღაზიაა და მისი მფლობელი, შემოვლითი გზით, ისევ მიშა ქარელია, მაშინ შპს „დიანას“ დაცვის თანამშრომლების უსუსური კომენტარი, არ ვიცით, სათვალთვალო კამერები რამდენხნიან ჩანაწერებს აკეთებს ან, საერთოდ, იღებს თუ არაო, გასაგები ხდება. მაღაზიაში მყოფი სამოქალაქოფორმიანი ადამიანები კი ადგილზე მედიასაშუალებებს მუშაობის უფლებას არ აძლევდნენ. გარდა ამისა, არაოფიციალური ვერსიით, ეროსი კიწმარიშვილი ბოლო დღეებში ნაციონალური მოძრაობის სახელით, მუქარის ზარებსაც იღებდა და ამ ზეწოლის თაობაზე, პროკურატურაში განცხადების გაკეთებასაც აპირებდა. ცოტა ხნის წინ, კიწმარიშვილმა გორის მერობის კანდიდატურა ნაციონალი კანდიდატის სასარგებლოდ მოხსნა და თუ ესეც ზეწოლის შედეგია, მაშინ რატომაა გამორიცხული, კვალი ყოფილ მმართველ გუნდამდე მიდიოდეს?! მით უფრო, „ოცნების“ ხელისუფლების დამუნათება — ყოფილ მთავრობასა და სააკაშვილთან ასოცირებული „პიარის მამის“, ეროსი კიწმარიშვილის მკვლელობა ვერ გახსენითო, თუნდაც შემოდგომიდან ნაციონალების მიერ მართული მწვავე პროცესების დასაწყისი შეიძლება გახდეს.

ზვიად ძიძიგური: „გამოვრიცხავ, კიწმარიშვილის გარდაცვალება რუსთავის არჩევნებს უკავშირდებოდეს“

რუსუდან შელია
557-100-768

გარდაცვალებამდე ეროსი კიწმარიშვილის ბოლო პოლიტიკური გაბრძოლება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს უკავშირდება, როცა მერობის კანდიდატად კენჭი იყარა, მეორე ტურამდე კი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატს დაუჭირა მხარი. რა ხდებოდა არჩევნებამდე რუსთავში და რამდენად შესაძლებელია, მისი გარდაცვალება სწორედ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს უკავშირდებოდეს, „ვერსიას“ რუსთავის მაჟორიტარი დეპუტატი ზვიად ძიძიგური ესაუბრა.

— **ბატონო ზვიად, გაჩნდა ვერსია, რომ შესაძლოა, ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალება რუსთავის არჩევნებს უკავშირდებოდეს, რადგან მეორე ტურამდე მხარი ნაციონალურ მოძრაობას დაუჭირა და ირკვევა, ფინანსური დავალიანებაც ჰქონდა.**

— შემეცოდა ეროსი კიწმარიშვილი და გული დამწყდა, სიცოცხლე ასე ტრაგიკულად რომ დაასრულა. რაც შეეხება რუსთავის არჩევნებს, ჩვეულებრივი პოლიტიკური დებატების დონეზე ვუპირისპირდებოდით, ამიტომ გამოვრიცხავ, მისი გარდაცვალება რუსთავის არჩევნებს უკავშირდებოდეს. თავადაც იცოდა, ის 12%, რაც აიღო, საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი იყო. ყველაფერი შეიძლება ადამიანმა იფიქროს, მაგრამ სიმართლე მხოლოდ მან იცის, ვინც შეიძლება იარაღი ხელში აიღო და სიცოცხლის დასრულება ამ ფორმით გადაწყვიტა.

— **თუ ამბობთ, „შესაძლოა“, ეს ნიშნავს, თვითმკვლელობის ვერსიის ბოლომდე არ გჯერათ?**

— არ მაქვს საფუძველი, გამოძიების ოფიციალურ ვერსიაში ეჭვი შევიტანო. არავინ იცის, სასოწარკვეთილი ადამიანი სანამდე შეიძლება მივიდეს. არჩევნების პერიოდში ეროსი თვალით არ მინახავს. მეგობრები არ ვყოფილვართ, თუმცა მას „ვარდების რევოლუციიდან“ ვიცნობ. რამდენიმე კვირის წინ პარლამენტის ყოფილმა წევრმა ჩარკვიანმა მოიკლა თავი, რომელსაც ხალისიან ადამიანად ვიცნობდი. გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე ერთ-ერთ წვეულებაზეც შევხვდი. დიდხანს ვისაუბრეთ. არ ეტყობოდა, თავის მოკვლას რომ აპირებდა, მაგრამ ასე მოხდა. ასე რომ, ადამიანის გულში რა ტრიალებს, არავინ იცის.

— **ბევრი საეჭვო გარემოებაა — მაგალითად, რატომ არჩევდა იარაღს ან საერთოდ, რატომ გადაწყვიტა იარაღის გაფორმება. თვითმკვლელობისთვის უამრავი მეთოდი და ფორმა არსებობს. ეს კითხვები არ გიჩნდებათ?**

— ვფიქრობ, ამ გარემოებებზეც გამოძიება თავის პასუხს გასცემს. გამოძიების შედეგს დაველოდოთ. პირადად ჩემთვის მთავარი ოფიციალური ვერსიაა.

— **თქვენი ვერსიები არ გაქვთ, ვის აწყობდა ეროსი კიწმარიშვილის სიკვდილი?**

— საკუთარი ვერსია არ მაქვს. როგორც გითხარით, მასთან იმ ტიპის ურთიერთობა არ მქონდა, შესაბამისად, არც ინფორმაცია, რომ ახლა ვერსიებზე ვისაუბრო.

— **პრეზიდენტის განცხადებაც შეაფასეთ, რომელმაც ეროსი კიწმარიშვილის საზარელი მკვლელობის სასწრაფოდ გამოძიება მოითხოვა.**

— თვითმკვლელობაც მკვლელობაა, პრეზიდენტის განცხადებაში სხვა ქვეტექსტი ვერ დავინახე.

— **ეს ფაქტი ხელისუფლების იმიჯზე არ იმოქმედებს?**

— არა. თვითმკვლელობა მხოლოდ საქართველოში არ ხდება.

— **ხელისუფლების მაღალი რეიტინგი სადავო ჯერ კიდევ პირველი ტურის დასრულების შემდეგ გახდა, როცა მეორე ტური დაინიშნა და ამომრჩეველთა უმრავლესობამ პასიურობით ჩუმი პროტესტი დააფიქსირა.**

— ჩემი აზრით, მეორე ტურში ამომრჩეველთა უპრეცედენტოდ მაღალი აქტივობა დაფიქსირდა. საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, მეორე ტურში ხმის მისაცემად ამომრჩეველთა ნახევარი მიდის. საქართველოში კი თითქმის იმდენივე ამომრჩეველი მივიდა, რამდენიც პირველში. ეს ნიშნავს, „ქართული ოცნების“ ამომრჩეველი პოლიტიკურად აქტიურია. ეს არჩევნები იმითაც გამოირჩეოდა, რომ წინამორბედებისგან განსხვავებით, პოლიტიკურ დემაგოგიასა და ოპონენტების შეურაცხყოფაზე აგებული არ იყო.

— **კოალიციის პოლიტიკურ მომავალზე როგორ აისახება ის, რომ წელიწადნახევრის წინ ხელისუფლებაში მოსული ძალა ყოფილ სახელისუფლებო გუნდს პირველივე ტურში ვერ ამარცხებს?**

— ვაანალიზებთ, რა პოლიტიკური ვითარება გვაქვს. ვიცოდით, მეორე ტურში ნაციონალურ მოძრაობას დიდი ანგარიშით დავამარცხებდით, რადგან თავიდანვე გამორიცხული იყო, პატრიოტთა ალიანსისა და ნინო ბურჯანაძის მხარდამჭერთა ხმები ნაციონალურ მოძრაობას დამატებოდა. პროცესები ზუსტად ასე განვითარდა.

— **ანუ „ოცნების“ 79% კოალიციის კი არა, ირმა ინაშვილისა და ნინო ბურჯანაძის დამსახურებაა?**

— „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას შორის უპირატესობა ცალსახაა. მეორე ტურმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ საზოგადოებაში ნაციონალების მიმართ ნეგატივი შენარჩუნებულია — ხალხს წარსული არ ავიწყდება.

— **ხალხს თქვენი დაპირებებიც არ ავიწყდება...**

— დაპირებები ჩვენც კარგად გვახსოვს. 2016 წლამდე კიდევ დიდი დროა, ყველა დაპირებას შევასრულებთ. საქართველოს მასშტაბით 80 ოლქიდან „ქართულმა ოცნებამ“ 59-ში გაიმარჯვა, დარჩენილი 21 ოლქიდან ნაციონალურმა მოძრაობამ მხოლოდ ექვსში გვაჯობა. ასე რომ, ნაციონალების დამარცხება არც ერთ ტურში რთული არ იყო. თბილისის არჩევნებმაც მნიშვნელოვანი შედეგები გვაჩვენა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ქალაქიდან უამრავი ადამიანი უკვე გასულია და პირველი ტურის შედეგებიც ცნობილი იყო, საზოგადოებამ კოალიციას ნდობა გამოუცხადა. ეს ჩვენთვის სასიამოვნო და საპასუხისმგებლო ფაქტორია!

— **არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე გიგი უგულავას დაკავება არაა თქვენთვის პასუხისმგებლობა თუ ეს დაანონსებული პოლიტიკურად ცხელი ზაფხულის გაგრძელებაა?**

— პოლიტიკურად ცხელი ზაფხული უკვე გვაქვს — არჩევნები „ცხელი“ პროცესი იყო. პოლიტიკურ შურისძიებას რომ ვგეგმავდეთ, ნაციონალებიდან მხოლოდ ორი-სამი პატიმარი არ გვეყოლებოდა, ციხეებს გადაავსებდნენ. პროკურატურა და კანონი კონკრეტული პერსონების მიმართ კითხვებს კანონის ფარგლებში სვამს! გიგი უგულავას ბრალად სახელმწიფო ბიუჯეტიდან 50 მილიონის გაფლანგვა ედება, პროკურატურას კი ჰქონდა ინფორმაცია, რომ ეს კაცი ქვეყნიდან გასვლას და გამოძიებისთვის თავისარიდებას გეგმავდა. ბუნებრივია, ამას ვერ დაუშვებდნენ. არ ვფიქრობ, რომ საქართველოში ვინმეს, მათ შორის, უგულავას პოლიტიკური ნიშნით დევნიან. დარწმუნებული ვარ, სასამართლო პროცესზე საზოგადოების ნაწილში გაჩენილ კითხვებს პასუხი ამომწურავად გაეცემა და არავინ ჩათვლის, რომ გიგი უგულავა პოლიტიკური პატიმარია.

— **ისე, არაერთხელ გვინახავს სასამართლო პროცესზე გამართლებული ყოფილი მაღალჩინოსანი, რომელსაც სახელმწიფო ბიუჯეტის ფლანგვასთან ერთად, ადამიანის წამებაშიც ედებოდა ბრალი. გიგი უგულავას შემთხვევაშიც იგივეს უნდა ველოდეთ?**

— დღეს სასამართლო დამოუკიდებელია, ამიტომ მოგვწონს თუ არა მისი გადაწყვეტილება, პატივი უნდა ვცეთ. კონკრეტულად უგულავას პროცესის მიმართ არანაირი მოლოდინი არ მაქვს, მირჩევნია, საბოლოო გადაწყვეტილებას დაველოდო. პირადად ჩემი პოლიტიკური პოზიცია ასეთია — ოპოზიციაში ყოფნისას, წლების განმავლობაში მქონდა ინფორმაცია, რომ თბილისის ბიუჯეტიდან თანხები არამიზნობრივად, კონკრეტული ადამიანების პირადი კეთილდღეობისთვის იხარჯებოდა. პროკურატურამ იგივე საკითხზე მოპოვებული მტკიცებულებები სასამართლოს წარუდგინა. ასე რომ, აბსოლუტურად ბუნებრივ პროცესთან გვაქვს საქმე — თბილისის ბიუჯეტის არამიზნობრივი ხარჯვისთვის პასუხი უნდა აგონ.

— **ოპოზიციაში ყოფნისას ბიუჯეტის ხარჯზე თანამდებობის პირების ძვირადღირებული ავტომობილებით გადაადგილებას, პრემიებსა და ხშირ მივლინებებსაც აპროტესტებდით, თუმცა დღეს ხმას არ იღებთ, როცა, თუნდაც საკრებულოს პირველივე სხდომაზე ახლადარჩეული თავმჯდომარე სახელმწიფო პარკინგის შემცირებაზე უარს აცხადებს.**

— საკრებულო დამოუკიდებელი ორგანოა და ბიუჯეტის დამტკიცების უფლებაც აქვს. 14 ივლისს პირველი სხდომა ჩატარდა, თავმჯდომარეც ახლახან აირჩიეს, ვაცადოთ ამ ხალხს საქმის კეთება. თუ რამე გადაცდომა ექნებათ, დარწმუნებული ვარ, პრეტენზიების გახმოვანებას არავინ დაიზარებს. დღეს ეს საყვედური დაახლოებით იმას ჰგავს, ბიძინა ივანიშვილს პირველივე საპარლამენტო სხდომაზე რომ უთხრეს, მიწები მოხნული არ არისო.

— **ამ შემთხვევაში დამოკიდებულებაზე გეკითხებით, რასაც, როგორც ჩანს, არც თქვენ აფასებთ უარყოფითად.**

— სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, რა საკითხზე მეკითხებით, ამ სხდომისთვის არ მომისმენია, თუმცა ვფიქრობ, ადამიანებს სამუშაოდ მეტი დრო უნდა მივცეთ.

დენის ტარიფი არ გაიზრდება

გაუგებრობა ელექტროენერგიის გადასახადთან დაკავშირებით

მაია მიშელაძე
593-51-90-12

15 ივლისს, გავრცელდა ინფორმაცია, რომ სექტემბრიდან რეგიონებში ელექტროენერგიის ტარიფი გაიზრდება. 2014 წლის სექტემბერში, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ შორის ტარიფთან დაკავშირებულ მემორანდუმს ვადა გასდის, შესაბამისად, კომპანია ვალდებულია, საქართველოს ენერგეტიკისა და წყლის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას (სემეკ-ი) ტარიფის გადახედვასთან დაკავშირებით, ოფიციალური განცხადებით მიმართოს. თუმცა სემეკ-ში წარდგენილი განცხადება ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდას ან შემცირებას სულაც არ ნიშნავს.

სემეკ-ის წარმომადგენლებმა, ეკონომიკის ექსპერტებთან ერთად, ელექტროენერგეტიკის სექტორში ახალი სატარიფო მეთოდოლოგიების პროექტებზე იმსჯელეს. სემეკ-მა უკვე დაასრულა მუშაობა ელექტროენერგიის განაწილების, გატარებისა და მოხმარების ტარიფების, ასევე ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციისა და ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მომსახურების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიებზე. სემეკ-ის თავმჯდომარემ, **ირინე მილორავამ** „ვერსიას“ განუცხადა, რომ ტარიფის ახალი მეთოდოლოგია განაწილების სექტორს ეხება, ოღონდ ამ ეტაპზე, ენერგოტარიფის შემცირება არ იგულისხმება: **„მეთოდოლოგიის მიზანი გამჭვირვალე და სამართლიანი ტარიფების დადგენაა. გარკვეული ინოვაციებიც შემოგვაქვს, რაც განაწილების სექტორში ინვესტიციების წახალისებას ეხება. რაც შეეხება დანარჩენ სეგმენტს, ჯერჯერობით, „ხარჯებს პლუს მეთოდოლოგია“ გვაქვს, მაგრამ მოკლე დროში, „წამახალისებელ რეგულირებაზე“ გადავალთ. ახალი მეთოდოლოგია სამომხმარებლო ტარიფების კორექციას იწვევს. ტარიფის გაზრდას ან შემცირებას არ ვგულისხმობ, მაგრამ ყველა ვთანხმდებით, რომ ენერგოტარიფი სამართლიანი და მომხმარებელზე ორიენტირებული უნდა იყოს. ამავდროულად, მასში ინვესტორისა და კომპანიის ინტერესებიც უნდა გავითვალისწინოთ“.**

მას შემდეგ, რაც „ენერგო-პრო ჯორჯიამ“ სემეკ-ს ტარიფის გადახედვასთან დაკავშირებით ოფიციალური განცხადებით მიმართა, მედიასაშუალებებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ სექტემბრიდან საქართველოს რეგიონებში ელექტროენერგია გაძვირდებოდა. სინამდვილეში, ტარიფის ახალი მეთოდოლოგია, რომელიც სემეკ-მა შეიმუშავა, თავდაპირველად სწორედ „ენერგო-პრო ჯორჯიაში“ დაინერგება, მაგრამ სემეკ-ის, ენერგეტიკის ექსპერტებისა და უშუალოდ კომპანიის წარმომადგენლების განცხადებით, ეს არ ნიშნავს, რომ დენის ტარიფი გაიზრდება ან შემცირდება. ელექტროენერგიის ტარიფთან დაკავშირებულ გაუგებრობას ხელი იმანაც შეუწყო, რომ 15 ივლისს, ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე მარიამ ვალიშვილი, სემეკ-ის თავმჯდომარე და ექსპერტები, ჟურნალისტებთან ურთიერთგამომრიცხავ კომენტარებს აკეთებდნენ. ერთდღიან გაუგებრობასა და ელექტროენერგიის ტარიფთან დაკავშირებულ სკანდალს პრემიერ-მინისტრმა, **ირაკლი ღარიბაშვილმა,** 16 ივლისს გამართულ მთავრობის სხდომაზე დაუსვა წერტილი: **„ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდა არ იგეგმება და ეს იყო მიზანმიმართული კამპანია, რომელიც მოსახლეობის შეცდომაში შეყვანას ემსახურებოდა“.**

ვიცე-პრემიერმა, საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა, **კახა კალაძემ კი** საზოგადოებას მოუწოდა, გავრცელებულ ცრუ განცხადებებს არ დაუჯეროს, რადგან ელექტროენერგიის ტარიფი არ შეიცვლება: **„15 ივლისს ვნახეთ მიზანმიმართული კამპანია, თითქოს ტარიფი იზრდება. ეს არის სიცრუე! მივმართავ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას, არ დაუჯეროს ამ ცრუ განცხადებებს, რადგან ტარიფი არ გაიზრდება“.**

„ენერგო-პრო ჯორჯიაში“ აცხადებენ, რომ ელექტროენერგიის ტარიფის საკითხი ამჟამად განხილვის პროცესშია. კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა, **ავთო დვალიშვილმა** „ვერსიას“ განუცხადა, რომ „ენერგო-პრო ჯორჯიას“, 2014 წლის სექტემბრიდან, საქართველოს რეგიონებში დენის ტარიფის ცვლილებასთან დაკავშირებით ინფორმაცია არ აქვს: **„ტარიფის გადახედვა ცალსახად არ ითვალისწინებს ტარიფის ზრდას. უკვე რამდენიმე კვირაა მიმდინარეობს კონსულტაციები კომპანიასა და სემეკ-ში, სადაც ტარიფის შემადგენელი ყველა კომპონენტი განიხილება. ამის შემდეგ გაირკვევა, შეიცვლება თუ არა ტარიფი. შესაბამისად, კონსულტაციების შემდგომი დასკვნის გარეშე, ტარიფის ცვლილებასთან დაკავშირებით, კომპანია კომენტარს ვერ გააკეთებს“.**

ვიდრე სემეკ-სა და „ენერგო-პრო ჯორჯიას“ წარმომადგენლებს შორის კონსულტაციები არ დასრულდება, ამ თემაზე საუბარი მხოლოდ ვარაუდია, რომელიც ან გამართლდება, ან არა. თუმცა ფაქტია, რომ თბილისისგან განსხვავებით, საქართველოს რეგიონებში ელექტროენერგიის გადასახადი საკმაოდ მცირეა. შესაბამისად, ცალკეული ექსპერტები კახეთისა და აჭარის გარდა, საქართველოს რეგიონებში დენის ფასის, დაახლოებით, 5 თეთრამდე ზრდას ვარაუდობენ. ამ პროგნოზს კი კატეგორიულად უარყოფენ სემეკ-სა და ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯიაში“.

„ვისოლმა“ „ეკოსგან“ საწვავის მიწოდებასა და სავაჭრო ნიშნის გამოყენებაზე ექსკლუზიური უფლება მოიპოვა

„ვისოლის“ ავტოგასამართ სადგურებში, ამიერიდან, „ეკოს“ ლოგოც მოგჭრით თვალს — კომპანიამ „ეკოსგან“ საქართველოში საწვავის მოწოდებასა და „ეკოს“ სავაჭრო ნიშნის გამოყენებაზე ექსკლუზიური უფლება უკვე მოიპოვა. ექსკლუზიური ლიცენზიის ხელშეკრულებას მხარეებმა ხელი, „ქორთიარდ მარიოტში“ გამართულ ოფიციალურ ცერემონიალზე მოაწერეს. „ვისოლის“ ხელმძღვანელების გარდა, ღონისძიებას „ეკოს“ კომერციული დირექტორი, საქართველოში საბერძნეთის ელჩის მოადგილე და სხვადასხვა კომპანიის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

„ვისოლი მოხარულია, რომ „ეკოს“ საქართველოს ბაზარზე დაბრუნება შეძლო. „ეკო“ ქართულ ბაზარზე ყველა დროის, ყველაზე მაღალი ხარისხის საწვავია. წლების განმავლობაში, სამომხმარებლო ბაზრის უამრავი კვლევა ჩავატარეთ და გაირკვა, რომ „ეკოს“ საწვავს მომხმარებელი საწვავის ხარისხის ეტალონად მიიჩნევს. ამ ფონზე, გადავწყვიტეთ, დავკავშირებოდით კომპანიას, რომელთანაც 17 — წლიანი პარტნიორული ურთიერთობა გვაქვს. ამიერიდან, „ვისოლი“ საქართველოს ექსკლუზიური შემომტანია და „ეკოს“ ლოგოს გამოყენების უფლებაც გვაქვს ჩვენს ბენზინგასამართ სადგურებზე. „ეკოს“ გამოჩენა, ქვეყნის ეკონომიკურ-პოლიტიკურ სტაბილურობასაც უსვამს ხაზს. „ვისოლის“ ფილოსოფია მომხმარებლისთვის უმაღლესი ხარისხის პროდუქტის მიწოდებაა. ზოგადად, ხარისხი, ჩვენი ბიზნესის ქვაკუთხედია. ამ ფონზე, ლოგიკურია, რომ ჩვენი ინტერესის სფეროს სწორედ ისეთი საწვავი წარმოადგენს, როგორიცაა „ეკოს“ პროდუქცია“, — განაცხადა „ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტმა სოსო ფხაკაძემ.

„ვისოლთან“ პარტნიორობას, „ეკოს“ კომერციულმა დირექტორმა ვასილის პანაგოპოულოსმა „მეგობრობა“ უწოდა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ კომპანიასთან აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმებას სიამოვნებით დათანხმდნენ. **ვასილის პანაგოპოულოსი: „ეკო“ ევროპაში დამკვიდრებული ნავთობპროდუქტია. ჩვენი კომპანია მთელ ბალკანეთს ამარაგებს პროდუქციით. მოხარულები ვართ, რომ საქართველოში დავბრუნდით. თავის დროზე, თქვენ ქვეყანაში, შეიძლება ითქვას, მხოლოდ ტექნიკური პრობლემა შეგვექმნა — შორი მანძილიდან საქართველოს მოცვა გაჭირდა. დღეს კი, „ვისოლი“, შეიძლება ითქვას, სასათბურე პირობებს გვიქმნის. ასე რომ, საქართველოში „ეკოს“ დაბრუნების მთავარი მიზეზი „ვისოლია“ — კომპანია, რომელსაც ვენდობით. იმედია, საქართველოს მომხმარებელი ელოდა ჩვენ დაბრუნებას“.**

საქართველოში საბერძნეთის ელჩის მოადგილემ, **ჯორჯ ფსიახასიმ** კი, „ვისოლის“ პრეზიდენტ სოსო ფხაკაძეს, ამ მნიშვნელოვან ღონისძიებაზე მოწვევისთვის მადლობა გადაუხადა და განაცხადა, რომ ყველაზე კარგი „ელჩი“ ქვეყნებს შორის, სწორედ მსგავსი ინვესტიციების განხორციელებაა: **„მიხარია, რომ ისევ ვხედავ ჩემ ძველ მეგობარს, ბატონ ვასილის. იგი სერბეთში გავიცანი, როგორც ამ ქვეყნის ნავთობპროდუქტის უმსხვილესი მიმწოდებელი. როცა 2011 წელს საქართველოში ჩამოვედი და „ეკოს“ სამარკო ნიშანი შევნიშნე, ძალიან გამიხარდა. „ეკო“ მთელ მსოფლიოშია ცნობილი არა მხოლოდ პროდუქტის, არამედ სერვისის ხარისხით. საქართველოში ბოლო წლებში მნიშვნელოვანი რეფორმები გატარდა. ქვეყანამ დიდი პროგრესი განიცადა და ვფიქრობ, ინვესტორებისთვის ეს ძალიან კარგი მოტივაციაა. ეს პროგრესი იმის საფუძველიც გახდა, რომ საბერძნეთმა გადაწყვიტა, დახმარებოდა საქართველოს ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერაზეც“.**

დღეს, „ვისოლის“ ავტოგასამართ სადგურებზე, „ეკოს“ ლოიალურ მომხმარებელს უკვე ხუთი პროდუქტის შეძენა შეუძლია. „ეკო სუპერის“, „ეკო პრემიუმისა“ და „ეკო დიზელის“ საქართველოს ბაზარზე დაბრუნება „ვისოლმა“ გრძელვადიანი მოლაპარაკებების შედეგად 2014 წლის თებერვალში შეძლო. მომხმარებელთა მოთხოვნის გათვალისწინებით კი, 2014 წლის აპრილიდან უკვე „ეკო რეგულარისა“ და „ეკო სუპერ 100“-ის იმპორტიც დაიწყო.

„ეკო სუპერ 100“ საავტომობილო სპორტით დაკავებული, პროფესიონალი მრბოლელებისთვის განკუთვნილი 100 ოქტანის საწვავია, რომელიც საქართველოში ექსკლუზიურად მხოლოდ ბაქტერიოფაგის მახლობლად მდებარე „ვისოლის“ ავტოგასამართ სადგურზე იყიდება თბილისში და ბათუმში აბუსერიძის ქუჩა №24-ში.

„ეკოს“ საწვავის ხარისხზე ისაუბრა ნავთობპროდუქტების ექსპერტმა **დალი ოძრუაშვილმა**. მისი თქმით, „ეკოს“ საწვავი, უმაღლესი ხარისხის, ეკონომიური და რაც მთავარია, ეკოლოგიურია: **„ეკოს“ ბენზინის საწვავისთვის დამახასიათებელია მაღალი ოქტანობა, რაც განაპირობებს პროდუქტის წვას დეტონაციის გარეშე. მათში ეთერების შემცველობის გამო, წვის კამერასა და ძრავის სხვა ნაწილზეც არ ხდება ნამწვავების ჭარბი რაოდენობის გამოყოფა, ეს კი ავტომობილის ძრავის ექსპლატაციის პერიოდს ზრდის. პროდუქტის ქიმიური შემადგენლობიდან გამომდინარე გაცილებით დაბალია ნაცრისა და კოქსის შემცველობა, რაც აგრეთვე ძრავის დაცვის უმნიშვნელოვანესი პირობაა. რაც შეეხება დიზელის საწვავს, მისი მაღალი ცეტანური რიცხვი და ინდექსი, ჩვენი კლიმატური ზონისთვის საუკეთესო აფეთქების ტემპერატურით, იმის გარანტიას იძლევა, რომ წვის კამერაში ალის გავრცელების ფრონტი ვრცელდება თანაბრად და მიმდინარეობს სრული წვა. მასში ნაჯერი ნახშირწყალბადების პროცენტულად დიდი შემცველობის გამო, გამოიყოფა ენერგიის დიდი რაოდენობა, რაც პროდუქტის ეკონომიურობაზე აისახება. „ეკოს“ პროდუქტები არ შეიცავს გოგირდს, ტყვიას. შესაბამისად, გარემოს დაბინძურების საფრთხე მინიმუმამდეა დაყვანილი“.**

„ვისოლისა“ და „ეკოს“ წარმომადგენლები დარწმუნებულები არიან, რომ მათი თანამშრომლობა მალე კიდევ უფრო მნიშვნელოვან ფაზაში გადავა, საქართველოში იმპორტირებული „ეკოს“ პროდუქტების რაოდენობაც გაიზრდება, სულ მალე კი, „ვისოლის“ „ვიანორში“, „ეკოს“ უმაღლესი ხარისხის მანქანის ზეთების შეძენაც იქნება შესაძლებელი.

ნინო ლურსმანაშვილი

თიბისი ბანკის „გალერეაში“ ონლაინოლიმპიადის გამარჯვებულები გამოავლინეს

საპრიზო ადგილების მფლობელები ლეპტოპებით, სმარტფონებითა და პლანშეტებით დააჯილდოვეს

17 ივლისს, თიბისი ბანკის „გალერეაში“, ონლაინსასკოლო ოლიმპიადის www.eruditor.ge გამარჯვებული მოსწავლეები დაჯილდოვეს. ონლაინსასკოლო ოლიმპიადა უნიკალური საგანმანათლებლო ვებპლატფორმაა, რომელიც თიბისი ბანკის სპონსორობით, კომპანიამ „საგანმანათლებლო ინოვაციები“ განახორციელა.

საქართველოს მასშტაბით, საჯარო სკოლების მოსწავლეებს შორის ინტელექტუალური შეჯიბრი 9 საგანში მიმდინარეობდა. მოსწავლეებს საშუალება ჰქონდათ, ერთსა და იმავე საგანში ტესტის გავლა რამდენჯერმე ეცადათ და საბოლოო რეიტინგებში საუკეთესო შედეგები დაეფიქსირებინათ. ოლიმპიადაში, რომელიც წელს პირველად გაიმართა, საქართველოს საჯარო სკოლების 4 000-მდე მოსწავლე მონაწილეობდა, მათგან კი დაახლოებით 50-მდე გამარჯვებული გამოვლინდა.

თიბისი ბანკის „გალერეაში“, ოლიმპიადაში გამარჯვებულ მე-12 კლასელებს სპეციალური საჩუქრები გადასცეს. ცხრავე საგანში, პირველი ადგილის მფლობელები ლეპტოპებით, მეორე ადგილზე გასულები სმარტფონებით, ხოლო მესამე-ადგილოსნები პლანშეტებით დაჯილდოვეს.

თიბისი ბანკის გენერალური დირექტორის პირველმა მოადგილემ, **პაატა ღაძაძემ** აღნიშნა, რომ ონლაინსასკოლო ოლიმპიადაზე გამარჯვებული მოსწავლეების გარკვეულ ნაწილს, დაახლოებით 5-6 წლის შემდეგ, სიამოვნებით იხილავდა თიბისი ბანკის წამყვან პოზიციებზე. პაატა ღაძაძემ განაცხადა, რომ სამომავლოდ, ოლიმპიადაზე გამარჯვებულ მოსწავლეებს შორის, ყველაზე წარმატებულებს, თიბისი ბანკი სწავლის საფასურსაც დაუფინანსებს: **„კომპანიამ „საგანმანათლებლო ინოვაციები“, საკმაოდ საინტერესო და ახალი პროექტი წამოიწყო, რომელსაც სპონსორობას ვუწევთ. თიბისი ბანკისთვის განათლების სფერო მნიშვნელოვანია და ონლაინსასკოლო ოლიმპიადაც პრიორიტეტული, სოციალური პროექტია. თიბისი ბანკი განათლების სფეროში სხვადასხვა პროექტს ახორციელებს, ამ ახალი წამოწყების მასშტაბი კი გაცილებით დიდია, რადგან პროექტში 4 000-მდე მოსწავლე მონაწილეობდა“.**

კომპანია „საგანმანათლებლო ინოვაციების“ პროექტის ავტორმა, **ლევან ბეიტრიშვილმა** „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ ამჟამად ოლიმპიადის მეორე, საშემოდგომო სეზონის რეგისტრაცია უკვე მიმდინარეობს, სადაც 10 000-მდე მოსწავლე დარეგისტრირდა. მისი თქმით, სასკოლო ოლიმპიადა მასშტაბურია, რადგან თბილისის გარდა, საქართველოს რეგიონების მოსწავლეებიც მონაწილეობდნენ. პირველი სეზონის გამარჯვებული მოსწავლეების 70% სწორედ საქართველოს რეგიონების წარმომადგენლები არიან: **„პროექტზე მუშაობა გაცილებით ადრე დავიწყეთ, მაგრამ სასკოლო ოლიმპიადა 2014 წლის 6 თებერვლიდან დაიწყო. თამამად შეიძლება ითქვას, საკმაოდ წარმატებული სტარტაპი იყო — იმაზე ბევრი მოსწავლე დარეგისტრირდა, ვიდრე ველოდით. ეს პირველი პროექტია არა მარტო ჩვენთვის, ზოგადად, საქართველოშიც, რადგან მსგავსი პროექტი აქამდე არ განხორციელებულა. მთლიანობაში 51 საპრიზო ადგილი გვაქვს, მაგრამ იმის გამო, რომ ზოგიერთმა მოსწავლემ ერთდროულად რამდენიმე საგანში გაიმარჯვა, დაახლოებით 45-დან 50-მდე გამარჯვებული გამოვავლინეთ. პირველი სეზონი უკვე დასრულდა, თუმცა პარალელურ რეჟიმში, შემოდგომის სეზონის შესარჩევი ეტაპიც დავიწყეთ. თუ აქამდე ოლიმპიადაზე მხოლოდ მე-11 და მე-12 კლასელები მონაწილეობდნენ, შემოდგომის სეზონიდან დარეგისტრირებას უკვე მე-8-დან მე-12 კლასამდე მოსწავლეებიც შეძლებენ“.**

მაია მიშელაძე

ქართველი „უგონშჩიკების“ თავგადასავალი ცხინვალში

როგორ ქრებოდა საქართველოდან ძვირფასი მანქანები და როგორ გამოჩნდა თბილისში პირველი „პორშეს“ ჯიპი

პატიმარი №0578

ვარდების რევოლუციის შემდეგ მოსულმა ხელისუფლებამ ლეგალური თუ არალეგალური ბიზნესის ხელში ჩაგდება მოინდომა და მოახერხა კიდეც. ბიზნესს, რომელსაც ვერ აკონტროლებდნენ, უბრალოდ აუქმებდნენ. ამის მაგალითი იყო ერგნეთის ბაზრობა. ამასთან ერთად, სახელმწიფომ ვერანაირად ვერ გააკონტროლა მოპარული მანქანების ბიზნესი, რადგან „უგონშჩიკები“ ძალიან ბევრნი იყვნენ და ყველა დამოუკიდებლად მოქმედებდა. შედეგად, მოპარული მანქანების ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი — ცხინვალში ჩასასვლელი შემოვლითი გზები, მკაცრად კონტროლდებოდა. ამის მიუხედავად, კრიმინალები მაინც ახერხებდნენ ძვირადღირებული მანქანების გადაყვანას არაკონტროლირებად ტერიტორიაზე და საგუშაგოებზე თითქმის ორი ათას დოლარს ტოვებდნენ...

გორის ერთ-ერთი რესტორანი ბავშვთა გასართობ ცენტრს ჰგავდა. ადგილობრივი ბიზნესმენის შვილი ათი წლის იუბილეს ზეიმობდა და მამამ პრაქტიკულად გორში მცხოვრები ყველა ბავშვი დაპატიჟა. დაბადების დღეზე ბიზნესმენის ორი მეგობარიც იმყოფებოდა: დათო და გოგა მასპინძელმა პირადად დაპატიჟა.

— მომღერალი რომ არის, ლექს-სენი, მაგის ჩამოყვანა მინდოდა, ჩემს შვილს მოსწონს, მაგრამ ტელეფონის ნომერი ვერ გავიგე. რაღაც ნომერი კი მომცეს, მაგრამ გათიშული ჰქონდა, — დაიჩივლა ბიზნესმენმა.

დათომ მშვიდად ამოიღო მობილური, ნომერი აკრიფა და — ლექსო, დათო ვარ, დაჯექი ახლა შენს მანქანაზე და გორში გამოგაზე. ძმაკაცის შვილს დაბადების დღე აქვს და ერთი უნდა უმღერო...

დაახლოებით ერთ საათში ლექს-სენი გორში იყო. ამდენი ბავშვი რომ დაინახა, გადაირია, კონცერტის გამართვას თუ მთხოვდით, გეთქვათო და სცენაზე ავიდა. იუბილარს სიხარულისგან თვალები უბრწყინავდა, მამამ აღარ იცოდა, მადლობა როგორ გადაეხადა. ბოლოს სამასი დოლარი ამოიღო და ლექსოს მიაჩეჩა, მაგრამ მან იუარა, ბიჭებმა მთხოვეს, ჯიგრულად, მეც ჯიგრულად ჩამოვედი და არაფერი მინდაო.

— მოდი, ლექსოს მანქანა გავუწიოთ, გადაირევა რომ დაინახავს, — ღიმილით უთხრა გოგას დათომ და რამდენიმე წუთში რეპერის მანქანა რესტორნის მისადგომებიდან გაქრა. დაბადების დღე დასასრულისკენ მიდიოდა, როცა ლექსო გარეთ გამოვიდა. ჯერ გაოცდა, მერე დათოს გახედა და ღიმილით უთხრა: შენი ნახელავია და არ ავვარდებიო, მაგრამ დათო მას აღარ უსმენდა — რესტორანთან ახალი „გრანდ ჩეროკი“ ეყენა.

— ვისია? — მიუბრუნდა ბიზნესმენს.

— არ ვიცი, პირველად ვხედავ, — მხრები აიჩეჩა ბიზნესმენმა და დათოც მანქანისკენ დაიძრა. გოგა მეორე მიმართულებით წავიდა, თავის „ნივაში“ ჩაჯდა და როგორც კი დათომ „გრანდ ჩეროკი“ დაქოქა, უკან მიჰყვა.

ცხინვალის შემოვლითი გზა მალე გამოჩნდა. ნაცნობი საგუშაგოც გაიარეს და ქართულ მხარეს 700 დოლარი დაუტოვეს, რუსულ მხარეს მეტი უნდოდა, მაგრამ...

მოულოდნელად „გრანდ ჩეროკის“ წინ ბუღი ავარდა და ავტომატის ჯერიც გაისმა. გოგამ ნივა შეაჩერა, გადასვლა დააპირა, მაგრამ არ დასცალდა — მის მანქანასთან ნიღბიანი სპეცრაზმელები მიიჭრნენ, მანქანიდან გადაათრიეს და სცემეს. იგივე დღეში ჩააგდეს დათოც, რომელიც ბოლო ხმაზე ყვიროდა: „სვოი, სვოი ეს დედააფეთქებული“... შემდეგ ორივეს თვალები აუხვიეს და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. სახვევები მხოლოდ მაშინ მოხსნეს, როცა ორივე ერთ ოთახში შეყარეს. ოთახის კონსტრუქციიდან გამომდინარე, დაასკვნეს — ციხეში ვართ. საკანში საკმაოდ ციოდა და რაც მთავარია, დასაწოლი ან დასაჯდომი არსად იყო. ორი საათის შემდეგ საკნის კარი გაიღო. ორივე ერთად გაიყვანეს. დერეფნის გავლის შემდეგ ვიღაცის კაბინეტში შევიდნენ. ულვაშა სამხედროს პოლკოვნიკის პაგონები ამშვენებდა და მაშინვე დედის გინებით დაიწყო.

— ნუ ჩტო გრუზინი, პაპალის იობ ვაშუ მატ...

მეგობრებმა ჯერ ერთმანეთს შეხედეს, მერე ორივემ რუსულ-ქართული გინების ისეთი კორიანტელი დააყენა, „დუბინკებით“ ძლივს გააჩერეს. „გაცნობა“ დასრულდა და პოლკოვნიკი პირდაპირ საქმეზე გადავიდა.

— მანქანის ქურდობის გამო ქართულ მხარეს რომ არ გადაგცეთ, იქაური ციხე რომ არ ხეხოთ და აქაც რომ არ ჩაგსვათ, ამ ორივე მანქანას გვიტოვებთ. თან თქვენებს დაურეკეთ, 30 ათასი დოლარი ზედ დაამატონ, — მშვიდად თქვა პოლკოვნიკმა.

— ვაჟკაც, ჩვენ რომ 30 ათასი გვქონდეს, აქ რა გვინდა. „გრანდ ჩეროკი“ დაიტოვეთ, „ნივა“ ჩვენია, საკუთარი, ოფიციალური. გესმის? — ხმას აუწია დათომ და... უკან მდგომმა სალდათმა „დუბინკა“ გოგას გადაუჭირა.

— ეს თუ ნორმალურია, მე რას მერჩის? — მიმართა ტკივილისგან დამანჭულმა გოგამ ოფიცერს და ზურგში მეორე მოხვდა...

— ბიჭო, ქართველი ხარ? და ქართველებს გვირტყამ. შენს დედას შემოვევლე, რა ბიჭი გაუზრდიხარ, წერილს რომ მიწერ, მოგვიკითხე, — მიაყარა გოგამ. ისევ „დაუშვეს“.

— ხვატიტ, — იღრიალა პოლკოვნიკმა და ბიჭებს მიუბრუნდა — თქვენ გიჟები ხართ? რა ქართველი, ცხინვალელია, ქართული იცის. ან დარეკავთ თქვენებთან, ან ცემაში ამოგხდიან სულს. მე დავამთავრე...

— არ გამოვა ასე. 30 ათასი ძალიან დიდი ფულია, მით უმეტეს, ორი მანქანაც გინდა. ვერ ხედავ, რა დროა, ფულს ლომის უკანალიდან თუ გამოიღებ. 500 დოლარი და კარგად იყავი, — უთხრა დათომ.

— არა, 500 ცოტაა, 3000 და მართლა დავამთავრე. ერთი დღე იფიქრეთ, — სიტყვა მიუგდო პოლკოვნიკმა. ბიჭები კამერაში დააბრუნეს.

ერთ საათში ქართველმა პატიმრებმა ტელეფონი მოითხოვეს და თბილისში დარეკეს. რამდენიმე საათში პოლკოვნიკის კაბინეტში მათი მეგობარი იდგა და ულვაშა სამხედროს 3000 დოლარს უთვლიდა. მალე საკანი გაიღო, გოგა და დათო მეგობარს გადააბარეს და თბილისში დაბრუნდნენ. ერთი დღის შემდეგ, ორივე ვლადიკავკაზში წავიდა. სწორედ ჩრდილოეთ ოსეთის დედაქალაქში ელოდნენ „ნივას“ და „გრანდ ჩეროკს“. სამ დღეში ორივე მანქანა მართლაც იქ ჩაიყვანეს. იმავე ღამეს „გრანდ ჩეროკზე“ დათო დაჯდა, „ნივაზე“ — გოგა და საქართველოს საზღვარი ცხინვალის გავლით გადმოკვეთეს. კიდევ ერთი დღის შემდეგ პოლკოვნიკის „მერსედესი“ გაქრა და ცოტა ხანში იმ მობილურზე, რომლითაც ბიჭებს თბილისში დაარეკინეს, ზარი გაისმა.

— პოლკოვნიკს უთხარით, მანქანის დაბრუნება თუ უნდა, 3000 დოლარი და სამი ცალი კალაშნიკოვი გაამზადოს, არც ერთი გაუჭირდება და არც მეორე. ერთ დღეს გაძლევთ საფიქრად, — მოკლედ მოჭრეს ტელეფონში. ორი დღის შემდეგ გაცვლა საზღვართან მოხდა.

* * *

ერთი თვის შემდეგ პოლკოვნიკმა დარეკა, საქმე მაქვს და შევხვდეთო. შეხვედრაზე პირდაპირ თქვა, არ ხართ დასაკარგი ხალხი და თუ მანქანებს ჩამოიყვანთ, დანარჩენი ჩემზე იქნებაო. დათომ თვალები მოჭუტა და მშვიდად უთხრა.

— საქართველოში „პორშეს“ ჯიპი არ დადის, მოსკოვში კი რამდენიმე ცალია. მე რომ მოსკოვიდან მოპარული „პორშე“ გამოვაგზავნინო, აქედან რამდენიმე მანქანა უნდა გაუშვა. უსაფრთხო გაცილებაში თქვენ რა გინდათ?

— ახალი „მერსედესი“ და რამდენიც გინდათ, იმდენ მანქანას გავატარებ. — გაუხარდა პოლკოვნიკს.

ერთი კვირის შემდეგ პოლკოვნიკის კაბინეტის ეზოში რვა მერსედესი ეყენა, ერთი მისთვის, დანარჩენი შვიდი მოსკოვში გასაგზავნად. თბილისში კი „პორშეს“ პირველი ჯიპი გამოჩნდა...

მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებულთა საარჩევნო უფლებების აღდგენას ითხოვენ

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

საქართველოს ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაცია სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას ინიციატივით მიმართავს, მსჯავრდებულთათვის არჩევნებში მონაწილეობის საკითხი განხილვის დღის წესრიგში დააყენოს. არსებული რეგულაციით, არჩევნებში ხმის მიცემის უფლება ენიჭება მხოლოდ ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებულებს. სისხლის სამართლის კანონმდებლობით, ეს ისეთი დანაშაულებია, რომელთათვისაც გათვალისწინებულია თავისუფლების 5 წლამდე აღკვეთა. არასამთავრობო ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ ამ შეზღუდვით ირღვევა ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლება, დაფიქსიროს საკუთარი ნება, თუ ვინ განახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლებას. კონსტიტუციური ნორმის თავდაპირველი ვარიანტი სრულად გამორიცხავდა მსჯავრდებულების მონაწილეობას არჩევნებში. 2011 წელს, კონსტიტუციაში შევიდა ცვლილება და განისაზღვრა ზემოაღნიშნულ პირთა წრე ერთგვარი გამონაკლისის სახით: **„ცვლილებები ვენეციის კომისიამ დადებითად შეაფასა ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტის ამაღლების კუთხით. პარალელურად აღინიშნა ის გარემოებაც, რომ დარჩენილი შეზღუდვა მსჯავრდებულთა ნაწილის მიმართ იყო არაპროპორციული, ზღუდავდა მათ ფუნდამენტურ უფლებას და დამატებით გადახედვას საჭიროებდა. ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაცია ამ საკითხთან დაკავშირებით სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას მიაწვდის ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ დოკუმენტს, რომელშიც ძირეულადაა განხილული საკითხის პრობლემატიკა და განსაზღვრულია კონკრეტული რეკომენდაციები“.**

არასამთავრობო ორგანიზაციის წევრების განმარტებით, ასოციაცია ასევე გამართავს შეხვედრებს სხვადასხვა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელებთან, პარლამენტის წევრებსა და კომიტეტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

„ვერსიასთან“ საუბრისას, არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე **ნანა კაკაბაძე** აცხადებს, რომ ამ საკითხზე იმის მიხედვით უნდა ვიმსჯელოთ, რა პრეცედენტები არსებობს მსოფლიოში. მძიმე დანაშაულში მსჯავრდებულებსა და ბრალდებულებს სხვა პრობლემები უფრო აწუხებთ, ვიდრე არჩევნებში მონაწილეობის უფლების მინიჭება: **„სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა პრაქტიკა არსებობს. უმეტესად, მძიმე კატეგორიის დანაშაულისთვის მსჯავრდებულებს საარჩევნო უფლება მინიჭებული არ აქვთ, თუმცა არის გამონაკლისი ქვეყნებიც. რაც შეეხება კონსტიტუციური უფლების შელახვას, ქვეყნის ძირითად კანონში წერია, რომ ყველა პირს არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს, თუ გარკვეული პრობლემები (ფსიქიკური და ა.შ) ხელს არ უშლის. არჩევანის უფლება ზოგადი დებულებაა და ამ სფეროს შემდგომ უკვე კანონმდებლობა არეგულირებს. ასე რომ, ეჭვი მეპარება, საკონსტიტუციო სასამართლოში ამ საქმის მოგება შეძლონ, თუმცა სურვილი და მოთხოვნა უფლებადამცველებს, რასაკვირველია, შეიძლება ჰქონდეთ. ეს სურვილი კი მსჯავრდებულებსა და ბრალდებულებს რომ ჰქონდეთ, პარლამენტს მაინც მიმართავდნენ შესაბამისი თხოვნით, მაგრამ მათ იმდენი პრობლემა აქვთ, არ მგონია, ეს მნიშვნელოვანი საკითხი იყოს. მათ უკმაყოფილებას იწვევს განაჩენები და გამოტანილი სასჯელები“.**

ᲡᲣᲓᲝᲙᲣᲛᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

2					3		6	
8								
		4	1	8	7		9	
		7	8		5		3	
6								5
	1		4		2	8		
	5		9	1	8	6		
								3
	8		2					9

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

		3	4	9				
		8			2		3	
6						2		8
		2		4		5		
5		1				9		3
		9		7		6		
1		7						6
	3		2			8		
				6	4	1		

ᲠᲗᲣᲚᲘ

						4	3	
6	4				9	8		5
			8	4				
			4			6		9
9				3				7
5		4			6			
				7	8			
3		5	9				8	1
	1	7						

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

		8					9	
		9	7			4		
3				5			7	6
		6	5		1			
	4			9			1	
			4		3	2		
9	6			4				3
		4			5	9		
	1					5		

ტელევიზორი და მობილური ერთად საშიშია

ინფორმაციის სხვადასხვა წყაროს ერთდროულად გამოყენება დეპრესიას იწვევს, — ასეთი დასკვნა დადეს ამერიკელმა მეცნიერებმა მიჩიგანის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. არ ღირს ერთდროულად კომპიუტერზეც მუშაობდეთ და ტელევიზორიც გქონდეთ ჩართული, ან იმავდროულად რადიოს უსმენდეთ. ამერიკელი სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ასეთი მრავალმხრივი ინფორმაცია, რომელიც ადამიანის ტვინს მიეწოდება, მის გადატვირთვას იწვევს და შფოთვისა და დეპრესიის განვითარების რისკს ზრდის. კვლევის ავტორები თავადვე დარჩნენ გაოცებულები, როცა ასეთი დამოკიდებულება აღმოაჩინეს, თუმცა, მიზეზები სრულად ვერ გაარკვიეს. აღსანიშნავია, რომ შეერთებულ შტატებში, ახალგაზრდების მიერ მედიაწყაროების გამოყენება, ბოლო ათი წლის განმავლობაში 20%-მდე გაიზარდა, დროის ხანგრძლიობა კი, რასაც რამდენიმე წყაროდან ერთდროულად ინფორმაციის მიღებას უთმობენ, ამავე პერიოდში 120%-ით. სწავლულთა გამოკვლევებში 310 ახალგაზრდა მონაწილეობდა. ისინი გამოკითხეს, რა დროს უთმობენ ერთდროულად ტელევიზორს, მუსიკას, მობილურ ტელეფონს, კომპიუტერს, ინტერნეტს.

სუნამო ქალის ასაკს აშხელს

გამოკვლევებმა აჩვენა, რომ სუსტი სქესის წარმომადგენლების ასაკის დადგენა სუნამოს სურნელით შეიძლება. იაპონელი სწავლულების დასკვნის თანახმად, რაც უფროსი ასაკისაა ადამიანი, მით მეტ ნონენალს — ქიმიურ ნივთიერებას გამოყოფს სხეული, რომელიც კანში ცხიმმჟავების დაშლისას წარმოიქმნება. ნონენალს სპეციფიკური სუნი აქვს და სწორედ მას შეუძლია გაამხილოს მშვენიერი ბანოვანის ასაკი. 40 წელს ზემოთ ქალებში ნონენალის რაოდენობა ორჯერ მეტია, ვიდრე 20 და 30 წლის ასაკში. კიდევ ერთ საინტერესო დასკვნა ამერიკელმა მეცნიერებმა გააკეთეს რატჯერსის უნივერსიტეტიდან. ისინი ირწმუნებიან, რომ მამაკაცებს შეუძლიათ ქვეცნობიერად, პარფიუმის მიხედვით გაარჩიონ, რა წლოვანების არის ქალი. ექსპერიმენტში მონაწილე, 20-დან 60 წლამდე ასაკის ძლიერ სქესს შესთავაზეს განესაზღვრათ, რომელი არომატი უხდება სხვადასხვა ასაკის ქალბატონებს — არჩევანი ვანილის, ლავანდის, ვარდის, ხილისა და ბოსტნეულის სურნელს შორის უნდა გაეკეთებინათ. ვარდის სურნელი თითქმის ყველა მამაკაცმა ასაკოვან ქალბატონებს მიაკუთვნა, ხოლო ხილის ნოტები, მათი მოსაზრებით, ახალგაზრდა გოგონების ასოციაციას უფრო ბადებს.

წინა ნომერში გასუდლი სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

6	5	1	4	3	7	9	2	8
9	2	8	6	5	1	3	7	4
4	7	3	9	8	2	6	1	5
7	4	9	8	6	3	2	5	1
1	6	5	2	9	4	8	3	7
3	8	2	7	1	5	4	9	6
2	9	7	5	4	8	1	6	3
8	3	6	1	7	9	5	4	2
5	1	4	3	2	6	7	8	9

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

4	9	3	2	6	1	5	8	7
8	5	1	4	9	7	6	3	2
2	7	6	8	5	3	9	1	4
3	4	9	1	2	5	8	7	6
1	6	5	7	8	9	4	2	3
7	2	8	3	4	6	1	9	5
5	3	7	9	1	4	2	6	8
9	8	4	6	7	2	3	5	1
6	1	2	5	3	8	7	4	9

ᲠᲗᲣᲚᲘ

6	9	8	7	4	5	3	2	1
3	7	5	6	1	2	9	4	8
4	2	1	3	9	8	7	6	5
2	6	9	5	7	1	8	3	4
1	8	7	4	6	3	5	9	2
5	4	3	8	2	9	1	7	6
8	5	4	2	3	7	6	1	9
9	3	6	1	8	4	2	5	7
7	1	2	9	5	6	4	8	3

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

3	5	1	2	9	8	7	6	4
4	9	6	3	1	7	8	5	2
7	8	2	4	6	5	3	1	9
9	2	4	1	8	3	6	7	5
1	7	5	9	4	6	2	8	3
8	6	3	7	5	2	4	9	1
6	1	9	8	3	4	5	2	7
2	4	8	5	7	1	9	3	6
5	3	7	6	2	9	1	4	8

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

9	6	8	7	5	4	3	2	1
1	4	3	9	2	8	7	6	5
5	2	7	6	3	1	9	8	4
4	1	2	8	9	7	6	5	3
3	5	9	4	6	2	1	7	8
8	7	6	5	1	3	4	9	2
7	3	5	2	4	9	8	1	6
6	9	4	1	8	5	2	3	7
2	8	1	3	7	6	5	4	9

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

7	2	1	6	8	5	3	9	4
4	6	9	3	2	1	8	7	5
3	5	8	4	7	9	6	2	1
2	4	7	1	9	8	5	3	6
1	3	6	7	5	4	9	8	2
9	8	5	2	6	3	4	1	7
6	1	4	9	3	2	7	5	8
8	7	3	5	1	6	2	4	9
5	9	2	8	4	7	1	6	3

ᲠᲗᲣᲚᲘ

8	5	3	9	1	7	6	2	4
1	4	2	8	6	5	3	7	9
9	7	6	4	3	2	1	5	8
3	9	5	2	8	6	7	4	1
4	8	1	5	7	3	2	9	6
2	6	7	1	4	9	8	3	5
7	3	4	6	9	8	5	1	2
6	2	9	3	5	1	4	8	7
5	1	8	7	2	4	9	6	3

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

5	4	3	7	9	2	8	1	6
7	2	1	8	6	4	5	3	9
9	8	6	5	1	3	4	2	7
6	1	7	4	3	9	2	8	5
8	3	5	2	7	6	1	9	4
4	9	2	1	8	5	7	6	3
3	5	8	6	4	1	9	7	2
2	7	9	3	5	8	6	4	1
1	6	4	9	2	7	3	5	8

მე-10 გვერდი: 1. ბუნგალო; 2. ბრამანტე; 3. რაეო; 4. მიტელშპილი; 5. ნირვანა; 6. ბერბიჭა; 7. ნამი; 8. აქცია; 9. ოლარი; 10. ვესტერნი; 11. ირისი; 12. იაილო; 13. ბრაილი; 14. კრემაცია; 15. ბუტაფორია; 16. ჰიტი; 17. კლანი; 18. აშდოდი; 19. ბია; 20. კაიმანი; 21. ბოისე; 22. ჭუკი; 23. ჰაკი; 24. კანტატა; 25. შარშან; 26. ისანი; 27. ლისეო; 28. სკაიპი; 29. ლახტი; 30. სოფა; 31. ნაირა; 32. ავდარი; 33. ილორი; 34. არალი; 35. ლახვარი; 36. ხოხობი; 37. დანია; 38. ლია; 39. ოსპი; 40. რილკე; 41. ხახამი; 42. ალან; 43. სკა; 44. იოდი; 45. ტრალი; 46. ბარაკ; 47. ლუჩია; 48. ალბორადა; 49. იანკოვსკი; 50. ანისი; 51. რონალდო; 52. ჩიტა; 53. პან; 54. დირბი; 55. სორო; 56. ამინ; 57. ონი; 58. ენი; 59. დეილ; 60. იყო; 61. დო; 62. ბალადა; 63. ფხა; 64. ლაოსი.

მე-12 გვერდი: 1. კრუპიე; 2. როქსანა; 3. პუდელი; 4. გრუნტი; 5. რეფრენი; 6. ნელსონი; 7. იქედნე; 8. სახედარი; 9. იკაროსი; 10. ოფელია; 11. ფანარი; 12. იდალგო; 13. აბი; 14. ასლი; 15. ბეზე; 16. ანანდი; 17. იოფე; 18. ნაიკი; 19. ხაო; 20. შამქორი; 21. აგორაფობია; 22. როდ; 23. ფინია; 24. ოგრი; 25. ინსაიდი; 26. რძე; 27. მანუელ ნოიერი; 28. ბერნი; 29. ასია; 30. ფიფა; 31. მესა; 32. ინგა; 33. მილნი; 34. ჭიგო; 35. ეხი; 36. ბორდო; 37. იულიუსი; 38. ლიბო; 39. ილეუსი; 40. მძინარე; 41. მის; 42. მოსადი; 43. მეანი; 44. მელიქ; 45. მჭლე; 46. რატიანი; 47. ემი; 48. ალოპეცია; 49. ლაგუნა; 50. ფენიმორ; 51. აძურა; 52. კოდაი; 53. ბალ; 54. ბაასი; 55. აკირა; 56. სტენდალი; 57. კულისიე; 58. ნოა; 59. სლენგი; 60. არე; 61. კრავი; 62, ანძა; 63. რიკელმე; 64. ოსირისი; 65. ელდა; 66. კაა; 67. არმა; 68. შუ; 69. პია; 70. იდიია; 71. მვერუ; 72. უშუ; 73. ელი; 74. მაიკ; 75. მურეი; 76. ნიკ; 77. თვე; 78. ურო; 79. ვარდკაჭკაჭა; 80. შპრეე; 81. გურია; 82. სინტო; 83. კოკუ; 84. ნიოა; 85. აკაი; 86. გარმონი; 87. სიო; 88. აია.



პლაჟზე ღორებთან ერთად

პიგ-აილენდზე უჩვეულო პლაჟებია — აქაურ ძვირადღირებულ სანაპიროზე დამსვენებლები დროს ღორების გვერდით ატარებენ. ამ კუნძულის დასავლეთ ნაწილში 20 ღორი ცხოვრობს, რომლებიც ადამიანებს სულ არ ერიდებიან. ამ ცხოველების ეგზოტიკურობითა და სითამამით აღფრთოვანებული დამსვენებლები სიამოვნებით კვებავენ მათ და ეფერებიან. ღორებიც შეეგუვნენ ადამიანების გვერდით ყოფნას და მათ მიმართ აგრესიას არ იჩენენ. როგორ აღმოჩნდნენ პიგ-აილენდზე უპატრონო ღორები, ადგილობრივები პასუხად სხვადასხვა ვერსიას ყვებიან. ერთ-ერთის მიხედვით, კუნძულის სიახლოვეს, რიფებთან შეჯახების შედეგად გემი ჩაიძირა, რომელზეც ცხოველები იმყოფებოდნენ. მათ ნაპირამდე ცურვით მიაღწიეს და მერე კუნძულზე გამრავლდნენ. სხვა ვერსიით კუნძულზე ამ ცხოველების მოხვედრას მეკობრეებს უკავშირებენ — მათ ისინი დატოვეს, რათა დაბრუნებულებს საკვები ჰქონოდათ, მაგრამ დაბრუნება ვეღარ შეძლეს, ღორები კი დარჩნენ. კიდევ ერთი და ყველაზე სარწმუნო ვარაუდით, ღირების მოშინაურების იდეა თავად ტურისტულ სააგენტოებს ეკუთვნის.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

შამპანური გულისთვის სასარგებლოა

ბრიტანელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ყოველდღე ერთი-ორი ბოკალი შამპანური კი არ ვნებს ჩვენს ჯანმრთელობას, არამედ პირიქით, სასიკეთო გავლენას ახდენს გულსა და სისხლის მიმოქცევაზე. სწავლულებმა დაადგინეს, რომ შამპანური ამაგრებს სისხლძარღვების კედლებს და თავიდან აგვარიდებს გულის შეტევასა და მასთან დაკავშირებულ სხვა დაავადებებს. როგორც ბრიტანელი მკვლევარები ამტკიცებენ, სასარგებლოა არა მხოლოდ ძვირიანი შამპანური, არამედ სხვა, შედარებით იაფფასიანი შუშხუნა ღვინოებიც. ამის „მიზეზი“ მათში არსებული პოლიფენოლებია, რაც სისხლში აზოტის დონეს ზრდის და სისხლძარღვებს აფართოებს.

თუთიყუშის მკვლელობისთვის დააპატიმრეს

63 წლის ამერიკელმა რიჩარდ ატკინსონმა ჩანგლით მოკლა თუთიყუში, რომელიც მის მეგობარ ქალს ეკუთვნოდა. სასამართლოზე კი განაცხადა, რომ არ ახსოვს იმ დღის მოვლენები, როცა ინციდენტი მოხდა. ატკინსონის ადვოკატის თქმით, მისი დაცვისქვეშ მყოფმა შესაძლოა, დამამშვიდებელი პრეპარატები მიიღო, მერე კი ვისკი დალია და ამის გამო გაშმაგდა. თუთიყუშის პატრონი ქალბატონი აცხადებს, რომ ჩიტი მასთან 18 წლის განმავლობაში ცხოვრობდა და მისთვის ძალიან ძვირფასი იყო. დამნაშავეს ქალისთვის მორალური ზიანის ანაზღაურება დააკისრეს, რაც საყვარელი ფრინველის სიკვდილით მიადგა. გარდა ამისა, ატკინსონი ციხეში ნახევარი წლით ჩაჯდება და სხვა დავალებებსაც შეასრულებს — აუცილებლად უნდა გაიაროს შემოწმება ფსიქიატრთან და ხუთი წლით ეკრძალება შინაური ცხოველის ან ფრინველის ყოლა.

სუდოკუ

ადვილი

		4		6		7	8	
	6			4		5	3	
		2	8				6	
					6	4		
6		5				1		8
		1	3					
	1				8	3		
	7	3		1			5	
	4	9		7		2		

სტანდარტი

		9		1				
5		4	9	6				
7		6						
	7		1		9			8
4				8				3
9			5		3		7	
						2		1
				5	2	7		4
				7		5		

რთული

	4			8	2		6	
		6	9		4	2		
								4
			8			5		7
	1						2	
9		8			1			
6								
		7	2		9	3		
	2		4	6			8	

ექსპერტი

		1		9			6	5
			1	7		8		
	7				3		1	9
		6					5	2
5		4				6		7
7	8					3		
9	6		7				3	
		3		1	6			
4	1			8		5		

ოფისის ჰაერი ყლოვის

ამერიკელმა მკვლევარებმა გარემოს დაცვის ეროვნული ინსტიტუტიდან პირველად დაამტკიცეს, რომ ოფისში მუშაობა გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე. სწავლულებმა ოფისებში ჰაერი გამოიკვლიეს და მივიდნენ დასკვნამდე, რომ იქ მომუშავეებისთვის ეს უმთავრესი საფრთხეა. რბილი საფარი იატაკზე, ავეჯი, საღებავი და სხვა საოფისე საგნები გამოყოფს პოლიფტორირებულ ნაერთებს, რაც შემდეგ თანამშრომლების სისხლში აღწევს. კერძოდ, ოფისის მუშაკთა სისხლში ფლუოროპოლიმერის მაღალი დონე აღმოჩნდა. მეცნიერებმა გამოიკვლიეს ასევე ჰაერი თანამშრომელთა სახლებშიც. გაირკვა, რომ ოფისის ჰაერი 3-5-ჯერ მეტ ფლუოროპოლიმერებს შეიცავს, ვიდრე სახლისა. ქიმიკატი სისხლში ერთ-ერთ მჟავად გადაიქცევა, რაც ადამიანის ჯანმრთელობას სერიოზულ საფრთხეს უქმნის. მჟავა სიმსივნურ უჯრედებს წარმოქმნის იწვევს და შესაძლოა, ბავშვებში თანდაყოლილი სიმახინჯეც გამოიწვიოს. სწავლულები აცხადებენ, რომ უფრო მეტი რისკის ქვეშ ახალ ოფისებში მომუშავე ადამიანები არიან, სადაც ავეჯი და ინტერიერი თანამედროვეა.

„ჭკვიანი აბი“ ექიმს ჩაანაცვლებს

სულ რაღაც 77 დოლარად თვეში შესაძლოა პაციენტის ცხოვრების შეცვლა. საიდუმლო კი ახალი, ტექნოლოგიურად „ჭკვიანი“ აბებია. ის უკარნახებს ავადმყოფს, სწორად როგორ მიიღოს წამალი. უახლოეს მომავალში აბები თავისუფალ გაყიდვაში დიდ ბრიტანეთში გამოჩნდება — ეს მიკროსკოპული ჩიპია, რომელიც პრეპარატის მიღების პროგრამის ყველა დეტალს იწერს მიმღები-პლასტირის მეშვეობით, რომელიც პაციენტის ხელზე ან მხარზეა დამაგრებული. საბოლოო ინფორმაცია გადაეცემა კომპიუტერს ან მობილურ ტელეფონს. აღსანიშნავია, რომ გამოგონება საკმაოდ აქტუალურია, რადგან, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, პაციენტთა დაახლოებით 50% სწორად არ იღებს ექიმის მიერ დანიშნულ პრეპარატებს. მწარმოებელი-კომპანიის წარმომადგენელთა თქმით, აბი თვალ-ყურს ადევნებს, როდის მიიღო ავადმყოფმა წამალი, რა დოზით უნდა მოხვდეს ის ორგანიზმში, ასევე, როგორია პაციენტის გულისცემის რიტმი და სხეულის ტემპერატურა. აბი აფიქსირებს, საკმარისად სძინავს თუ არა ადამიანს და როგორ ვარჯიშობს. როგორც ვარაუდობენ, ეს სასწაული-აბი ბაზარზე სექტემბერში უნდა გამოჩნდეს.



ყავა – კანის ახალგაგრდოგის საიდუმლო

ბოლოდროინდელმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ყოველდღიურად ორი ფინჯანი ყავის დალევა კანის დაბერების პროცესს აფერხებს, რაც სასმელში არსებული ანტიოქსიდანტების წყალობითაა შესაძლებელი. ეს აღმოჩენა სკრენტონის უნივერსიტეტის სწავლულებმა გააკეთეს. მკვლევარები უარყოფდნენ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც მზე და სუფთა ჰაერი ადამიანის ორგანიზმის ზოგიერთი სახის უჯრედის დაბერებას იწვევს. საქმე ისაა, რომ ჟანგბადი უჯრედის დაშლას პროვოცირებს, ქარს კი შეუძლია კანის ჭკნობის პროცესი დააჩქაროს. თავის მხრივ ანტიოქსიდანტები, რომელსაც ყავა შეიცავს, ჟანგბადის საშიშ ფორმას ანუ თავისუფალ რადიკალებს ანეიტრალებს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კვლევებმა „ღვთაებრივი სასმელის“ სხვა პოზიტიური თვისებებიც აღმოაჩინა. კერძოდ, ყავა თავის ტვინის მუშაობას აუმჯობესებს, რადგან იმ ნაწილზე ზემოქმედებს, რომელიც ყურადღებასა და მეხსიერებაზეა პასუხისმგებელი. მეცნიერების თქმით, ყავას შეუძლია ადამიანს სიბერეში თავიდან ააცილოს მეხსიერების დაკარგვა და დაბნეულობა, შეამციროს დიაბეტის რისკი, ასევე ღვიძლის ციროზის განვითარების ალბათობა.

სიმსივნე, როგორც დაავადება, გაქრება

სწავლულებს სჯერათ თანამედროვე მეცნიერებისა და პროგნოზირებენ, რომ სიმსივნე, როგორც პათოლოგიის გარკვეული ჯგუფი, გაქრება — ეს დაახლოებით 50 წელიწადში უნდა მოხდეს. კიბოს მკურნალობის მეთოდები გამუდმებით უმჯობესდება, ახალი პრეპარატები სიმსივნური უჯრედების ზრდას ყველაზე ადრეულ სტადიაზე აჩერებს, ონკოლოგიის გამოვლენას კი დიაგნოსტიკის პროგრესული მეთოდები შეძლებს. დღეისთვის შეერთებულ შტატებში უკვე 14 მილიონი ადამიანია რეგისტრირებული, ვინც ამ სენს თავი დააღწია. ამერიკაში კიბოსთან ბრძოლის სისტემა გაცილებით პროგრესულია, ვიდრე ჩვენთან. ონკოლოგიის მკურნალობის საფუძველი ადრეული დიაგნოსტიკაა, არადა, ადამიანები საკუთარი ჯანმრთელობის მიმართ გულგრილობას იჩენენ და სპეციალისტებს მხოლოდ მაშინ აკითხავენ, როცა მკურნალობა დაგვიანებულია.

ცაციობა დაბადების დროს უკავშირდება

როგორც სწავლულებმა კვლევებით დაადგინეს, ზამთარში დაბადებული ბიჭები უფრო ხშირად არიან ცაციები, ვიდრე ისინი, ვინც ზაფხულში მოევლინა ქვეყანას. ვენის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა 13 ათასი უფროსი ასაკის ადამიანი გამოიკვლიეს. მათგან ქალების 7,5% და მამაკაცების 8,8% ცაცია აღმოჩნდა, თან ისიც დადგინდა, რომ ძლიერი სქესის წარმომადგენლებში ნოემბრიდან იანვრის ჩათვლით დაბადებული ცაცია უფრო მეტი იყო, ვიდრე თებერვალ-ოქტომბერში (10,5% და 8,2%). მკვლევარები ამბობენ, რომ სეზონურობა უკავშირდება ჰორმონების დონეს, რომელიც განსაზღვრავს ცაციობის ალბათობას. მიიჩნევა, რომ ტესტოსტერონის მაღალი დონე ჩანასახის განვითარების დროს ადამიანს ცაციად აქცევს. რაც გრძელია დღე, მით მაღალია ტესტოსტერონი, რაკიღა ზამთარში დაბადებულებისთვის მთელი ზაფხული მუცლადყოფნის პერიოდია, ისინი უფრო მეტ ჰორმონს იღებენ. ეს ეფექტი მუშაობს მამაკაცების შემთხვევაში, სუსტ სქესთან დაკავშირებით კი მსგავსი არ გამოვლენილა.

1. ოცკაპიკიანი მონეტის ძველებური სახელწოდება
2. ამერიკული თოჯინა
3. სხეულის უკანა ნაწილი კისრიდან წელამდე
4. სამატომიანი ჟანგბადი
5. ტეხილი ხაზი
6. სიმინდის შესანახი ნაგებობა
7. მილანის სურათების გალერეა
8. სხეულის დაკარგული ნაწილის აღდგენა
9. ექსფრთიანი ანგელოზი ქრისტიანულ რელიგიაში
10. მტაცებელი ცხოველი
11. ... სალდანა
12. ვინეგრეტის სოუსი
13. მავთულის გამოსაყვანი ხელსაწყო
14. ქვეყანა ახლო აღმოსავლეთში
15. ხელის საგრილობელი
16. შხამიანი გომბეშო
17. ტაილანდელების ენა
18. სპორტული გუნდური თამაშის სახეობა
19. ხორცი ბავშვის ენაზე
20. ქალაქი პორტი შავ ზღვაზე
21. ბალახის ჩრდილი
22. თეთრი ლაქა თვა-ლის გუგაზე
23. იაპონიის უძველესი დედაქალაქი
24. გამაგრილებელი გაზიანი სასმელი
25. ზღურბლსაირთა რიგის ფრინველი
26. ძვირფასმატყლიანი აქლემი
27. ყველაზე ცივი ადგილი მსოფლიოში
28. მნიშვნელოვანი აზრი, ჩანაფიქრი
29. გადაშენებული მორბენალი ფრინველი
30. კათოლიკების მღვდელი
31. თბილისის ერთ-ერთი უბანი
32. ბურთის გადაცემა თავისი გუნდის რომელიმე მოთამაშისათვის
33. ვულკანი ფილიპინებზე
34. ძალიან ბრაზიანი, ანჩხლი
35. ბრაზილიური ფეხბურთის ყოფილი ვარსკვლავი
36. ჯგუფ „დორსის" ვოკალისტი და ლიდერი
37. რამდენიმე თოფის ერთდროული გასროლა
38. დაბა დუშეთის რაიონში
39. ბუჩქოვანი მცენარე
40. პარაზიტი მწერი
41. შრილანკას ყოფილი სახელწოდება
42. ბილიარდის სათამაშო ჯოხი
43. იაპონური მაფია
44. აშშ-ის ერთ-ერთი სექს-სიმბოლო
45. ებრაელთა სადღესასწაულო ხმიადი
46. ბევრ ცხიმში შემწვარი თევზი
47. ჭკუის დარიგება, სწავლება
48. მამალი კვიცი
50. დედამიწასთან მთვარის უახლოესი წერტილი
51. სიკვდილით დასასჯელი ფიცარნაგი
52. ბერძნული ანბანის ბოლო ასო
53. თავისუფალი ფორმის ნარკვევი
54. მოსაჩვენებელი მამაცობა
55. სრული მონური დამოკიდებულება ვინმეზე
56. ... კლინტონი
57. იგივე ბამბა
58. ძვირფასი ნივთები, ქონება
59. იგივეა, რაც მწვალებლობა
60. ქართული კომედიური ტელესერიალი „ჩვენი ..."
61. ფშაველთა მთავარი სალოცავი
62. აკრძალვა პირველყოფილ ხალხებში
63. კოლხეთის მითიური მეფე
64. შეჯიბრების დასკვნითი ნაწილი
65. მდინარე აზიაში
66. რუსეთ-საქართველოს სასაზღვრო მდინარე
67. შემოსეული, დამპყრობელი ჯარი
68. იგივე ზამში
69. მდინარე მონღოლეთში
70. უგონო მდგომარეობა
71. კენიაში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფი
72. გაზაფხულის ყვავილი
73. აღმოსავლური ჩასაბერი საკრავი
74. სანელებელი მცენარე, კარდამონი
75. გოლიათი მონადირე ბერძნულ მითოლოგიაში
76. დიდი ტიკი
77. კავშირი ქართულ გრამატიკაში
78. ჩინელთა ბელადი
79. ისრაელის ავტომატი
80. ცხენის კუდის ბეწვი
81. ადამიანის გრძნობებთან დაკავშირებული, უაღრესად პირადული
82. ადამიანის კვების გარკვეული რეჟიმი

ქალს სიმღერა არ აძინებს

დიდი ბრიტანეთის მცხოვრები, 63 წლის სიუზან რუტი საკმაოდ უჩვეულო მოვლენის გამო იტანჯება: უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მუდმივად ერთი სიმღერა — გასული საუკუნის 50-იანი წლების ჰიტი How much is that Doggie in the Window უტრიალებს. მედიკოსთა განცხადებით, ინგლისელი ქალბატონი მუსიკალური დამოკიდებულების იშვიათი ფორმით იტანჯება. ამ სიმღერის გარდა, მის ნერვულ სისტემასა და უძილობაზე განსაკუთრებით უარყოფითად საკუთარი ქვეყნის ჰიმნიც მოქმედებს. ეს ყველაფერი სამი წლის წინ დაიწყო. თავში თითქოს რადიო მაქვს, რომლის გამორთვაც შეუძლებელია, — ამბობს გატანჯული ბრიტანელი. სამწუხაროდ, სიუზანის განკურნება თანამედროვე მედიცინის ძალას აღემატება. ექიმების განცხადებით, ინგლისელ ქალს ვერაფრით დაეხმარებიან, საკუთარ თავს თავად უნდა უშველოს — ამ მოვლენასთან შეგუება და თანაცხოვრება უნდა შეძლოს.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული
მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა
და ინფორმაციის სიზუსტეზე
პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის
შემთხვევაში დაგვიკავშირდით
14 დღის განმავლობაში.